



**წილის**  
ეროვნული სააგენტო

## სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახური

შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405 470 869) გაცემული სასარგებლო  
წილისეულის მოპოვების №10002204 ლიცენზიით გათვალისწინებული  
პირობების შესრულების მდგომარეობის დათვალიერება/შესწავლის

## ა ნ გ ა რ ი შ ი

შემოწმებაში მონაწილეობდნენ:

გიორგი კორძაძე

დავით ჩიკვაძე


ქ. თბილისი

2021 წელი

შპს „ტექნოლოჯი 2021“ (ს/ნ 405470869) ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10002204 ლიცენზიის, ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე მანგანუმის შესწავლა-მოპოვების მიზნით.

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 05 ნოემბრის №178/მ მივლინების ბრძანების საფუძველზე, სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის რეგიონალური მენეჯერის გიორგი კორძაძის და მთავარი სპეციალისტის დავით ჩიკვაიძის მიერ 2021 წლის 05 ნოემბერს განხორციელებულ იქნა №10002204 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის ადგილზე დათვალიერება/შესწავლა, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:


ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთენის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა სამთო სამუშაოები, კერძოდ,  $X=368657$  ,  $Y=4705118$ ;  $X=368715$  ,  $Y= 4705087$  კოორდინატებიდან ერთმანეთის მართობულად გაყვანილია გამხსნელი ტრანშეები სიმაღლით დაახლოებით 3.5-4 მეტრი, სიგანით მეტრი. გამხსნელი ტრანშეის სანგრევში ფიქსირდება 0.15 მ-მდე და 0.7 მ-მდე მადნიანი შუაშრეები ქვიშიან თიხებში და კვარცხან თიხებში მონაცვლეობით. შემოწმების დროს ხორციელდებოდა გამოვლენილი მადნის ამოღება და სამთო მინაკუთენის მიმდებარედ მოპოვების ადგილიდან დაახლოებით 500 მ დაშორებით  $X=369130$  ;  $Y=4705258$  კოორდინატის მიმდებარედ დასაწყობება. პარალელურად ხორციელდებოდა გამხსნელი ტრანშეების შევსება საექსკავაციო სამუშაოების დროს მოხსნილი ფუჭი ქანებით, რომელიც დაყრილია გამხსნელი ტრანშეების კიდეებზე. მანგანუმის მადნის სანაყაროზე ჩატარებული აზომვითი სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ მადანი განთავსებულია 252 მ<sup>2</sup> ფართობზე, საშუალოდ 1,8 მ სიმაღლით და საშუალოდ მოპოვებული მანგანუმის მადნის მოცულობა შეადგენს 453,6 მ<sup>3</sup>-ს.







სამთო სამუშაოების დროს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადახსნილი მიწის ზედა ფენის გარკვეული ნაწილი განთავსებულია გამხსნელი ტრანშეის მიმდებარედ.



სალიცენზიო ტერიტორიაზე. გამხსნელი ტრანშის მიმდებარედ  $X=368644$  ;  $Y=4705037$  ;  $X=368631$  ;  $Y=4705068$  კოორდინატებზე; შემოწმების დროს ფიქსირდებოდა საძიებო შურფი, დაახლოებით 1.5-2 მ-მდე სიმაღლის, და 1-1.5 მ სიგანის (შურფში მანგანუმის მადნის გამოსავალი არ ფიქსირდებოდა), რომელიც შესწავლა-დათვალიერების პროცესში შევსებული და გადასწორებული იქნა ბულდოზერის მიერ. შემოწმების დროს ხორციელდებოდა გამოვლენილი მანგანუმის მადნის მოპოვება-გატანა და გამონამუშევარი სივრცეების შევსება-მოსწორება.



ადგილზე დათვალიერების დროს, სალიცენზიო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში  $X=368684$ ;  $Y=4704849$  კოორდინატის მიმდებარედ ასევე დაფიქსირდა გარკვეული სამთო-სამუშაოების ჩატარების კვალი. ვიზუალურად ტერიტორია იყო გადასწორებული ექსკავირებული სამთო მასით. წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნულ ტერიტორიაზე აწარმოებდნენ დასინჯვით სამუშაოებს.



კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი სასარგებლო წიაღისეულის გეგმა-გრაფიკის მიხედვით, კომპანიას განსაზღვრული აქვს შესწავლის მიზნებისათვის განსახორციელებლად გარკვეული სამუშაოების ჩატარება (აღნიშნული გეგმა-გრაფიკის შედგენა და მისი სააგენტოში წარმოდგენა განსაზღვრულია #10002204 ლიცენზიის გაცემის შესახებ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანებით და გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები წარმოადგენს სალიცენზიო პირობებს და მისი შესრულება სავალდებულოა) მათ შორის: საძიებო-გეოლოგიური სამუშაოების ჩატარების მიზნით სამთო მინაკუთვანში საბურღი მოედნების მოწყობა ბურღვითი სამუშაოების ჩასატარებლად, 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე საორიენტაციო 90 დახრილი და 60 ვერტიკალური ჭაბუდილის გაბურღვა (დანახარჯი 2 060 000 ლარი). შემოწმების მომენტისათვის არ ფიქსირდება მოწყობილი საბურღი მოედნები და არ არის ნაწარმოები ბურღვითი სამუშაოები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია აწარმოებს მანგანუმის მადნის მოპოვებას და არა მის შესწავლას.

გეგმა გრაფიკის მიხედვით მისასვლელი გზის და გამხსნელი ტრანშეის მოწყობის პროცესში დაგეგმილია ექსკავირებული სამთო მასის სალიცენზიო ტერიტორიიდან გატანა და კერძო საკუთრებაში განთავსება, ამასთან, დაგეგმილია გამხსნელი ტრანშეების ბურღვით მოედნებად გამოყენება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ტრანშეის გაყვანის დროს ექსკავირებული სამთო მასები (მიწის ფენა და ფუჭი ქანები) განთავსებულია ტრანშეის კიდეებზე და ხორციელდება მათი კვლავ უკან გამონამუშევარში ჩაყრა.

ლიცენზიის გაცემის შესახებ #898/ს ბრძანებით კომპანია ვალდებულია საქმიანობის დაწყებამდე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინოს ე.წ. „ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება“. ასევე „საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად ვალდებულია უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა, რაც ასევე არ აქვს კომპანიას შესრულებული.

ასევე შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ სალიცენზიო ტერიტორია თანხვედრაშია დარეგისტრირებულ კერძო საკუთრებებთან, ხოლო კომპანია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობას ახორციელებს მიწის მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემოწმების პროცესში დადგინდა, რომ შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის მიერ დარღვეულია #10002204 ლიცენზიის პირობები, კერძოდ:

1. მარაგების დამტკიცებამდე და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე კომპანია ახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას.
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ აქვს წარდგენილი ე.წ. „ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება“.
3. არ აქვს გავლილი სკოპინგის პროცედურა.
4. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად არ აქვს მოწყობილი საბურღი მოედნები და არ აწარმოებს 2021 წლის პერიოდში განსახორციელებელ სამიეზო-გეოლოგიურ ბურღვით სამუშაოებს.
5. ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობას ახორციელებს მიწის მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე.

გამოვლენილ დარღვევაზე, 2021 წლის 15 ნოემბერს შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57<sup>3</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №003417 ოქმი, რომელიც განსახილველად გაიგზავნება შესაბამის სასამართლოში.

მთავარი სპეციალისტი - დავით ჩიკვაძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020163253120721

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

**ბრძანება № 178/მ**

05 / ნოემბერი / 2021 წ.

**გიორგი კორძაძისა და დავით ჩიკვაიძის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის #1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის და სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის გონა ფირცხელიანის #2023 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მივლინებულ იქნან სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის რეგიონალური მენეჯერი გიორგი კორძაძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი დავით ჩიკვაიძე 2021 წლის 05 ნოემბერს (1 დღე), ონის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღიეულის მოპოვების ლიცენზიების შესწავლა-დათვალიერების მიზნით;
2. მგზავრობა განხორციელდება ავტომანქანით „რენო დასტერი“ სახ. №PP-581-FF;
3. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს მივლინების ხარჯების ანაზღაურება და სანვავით (40 ლიტრი დიზელი) უზრუნველყოფა თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით;

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელმითრთულად

ოთარი დანელია



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
სსიპ - ნიაღვის ეროვნული სააგენტო

შემონშების შესახებ ინსპექტირების აქტი  
№

000276

ქ. თბილისი, აღმაშენებლის 150  
(აქტის შედგენის ადგილი)

15 ნოემბერი 2021 წ.  
(თარიღი)

შპს „სტრუქტოტა 2021“, ს/ნ 405 470 869

(რეგულირების ობიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი)

დისექციის - გიორგი ნინუაშვილი, ს/ნ [redacted]

(ობიექტის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის, ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი)

იუს. პი: ქ. თბილისი, ვაჟ-საბუხაძის ხაონი, სოფ. დილოძი, მ. უჯღვიძის №6

(მისამართი, რეგულირების ობიექტის წარმომადგენლობის დამადასტურებელი რეკვიზიტები)

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები შეამოწმა საიცენზო პირობები

კონსტრუქციის სამსახურის ხელოვნური ბუნების გიორგი ნინუაშვილი და მავსი

(სააგენტოს უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი)

სპეციალისტი დავა ჩუკიძე

შემონშების ჩატარების საფუძველი სსიპ ნიაღვის ეროვნული სააგენტოს 2021 წელს

(პრაქტიკა - რეგულირების ობიექტის შემონშების შესახებ ან სხვა)

05 ნოემბრის №17812 ბიძნებ.

(შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი)

შემონშებაში მონაწილეობა მიიღეს

(შემონშებაში მონაწილეთა გვარი, სახელი, თანამდებობა - მისი არსებობისას)

შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ძირითადი მონაცემები შპს „სტრუქტოტა 2021“ ფაქტს

სასხეობო ნაღისულის მოძუების № 10002204 დაცემას ორს მონივრულად

სოფ. შქუხის მიძემს ცხოვრობს შქუხის მრეწველის (უბნი ზინაი)

შესწავლ - მოძუების ბუნია.

გამოვლენილი ნაკლოვანებები და დარღვევები იხილეთ დანართი  
(დარღვევათა სრული ჩამონათვალი არსებობის შემთხვევაში)

მიწერილობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

ობიექტის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

აქტს თან ერთვის დანართი: ფოტომასა

(ობიექტის წარმომადგენლის ხელმოწერა)

დ. ლუკაძე  
(აქტის შემდგენლის ხელმოწერა)

მონაწილეთა ხელმოწერა:


\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

## #000276 ინსპექტირების აქტის დანართი

2021 წლის 05 ნოემბერს სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ განხორციელდა მპს „ტექნოლოგი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) მანგანუმის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული #10002204 ლიცენზიის ადგილზე დათვალიერება/შესწავლა, რომელიც მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შუმერის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ადგილზე შემოწმების დროს დადგინდა შემდეგი: ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთვნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა სამთო სამუშაოები, კერძოდ,  $X=368657$ ,  $Y=4705118$ ;  $X=368715$ ,  $Y=4705087$  კოორდინატებიდან ერთმანეთის მართობულად გაყვანილია გამხსნელი ტრანშეები სიმაღლით დაახლოებით 3.5-4 მეტრი, სიგანით მეტრი. გამხსნელი ტრანშეის სანგრევში ფიქსირდება 0.15 მ-მდე და 0.7 მ-მდე მადნიანი შუაშრეები ქვიშიან თიხებში და კვარციან თიხებში მონაცვლეობით. შემოწმების დროს ხორციელდებოდა გამოვლენილი მანგანუმის მადნის ამოღება და სამთო მინაკუთვნის მიმდებარედ მოპოვების ადგილიდან დაახლოებით 500 მ დაშორებით  $X=369130$ ;  $Y=4705258$  კოორდინატის მიმდებარედ დასაწყობება. პარალელურად ხორციელდებოდა გამხსნელი ტრანშეების შევსება საექსკავაციო სამუშაოების დროს მოხსნილი ფუჭი ქანებით, რომელიც დაყრილია გამხსნელი ტრანშეების კიდეებზე. ამასთან სამთო სამუშაოების დროს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადახსნილი მიწის ზედა ფენის გარკვეული ნაწილი განთავსებულია გამხსნელი ტრანშეის მიმდებარედ, სალიცენზიო ტერიტორიაზე. გამხსნელი ტრანშეის მიმდებარედ  $X=368644$ ;  $Y=4705037$ ;  $X=368631$ ;  $Y=4705068$ ; კოორდინატებზე შემოწმების დროს ფიქსირდებოდა საძიებო შურფი, დაახლოებით 1.5-2 მ-მდე სიმაღლის, და 1-1.5 მ სიგანის (შურფში მანგანუმის მადნის გამოსავალი არ ფიქსირდებოდა), რომელიც შესწავლა-დათვალიერების პროცესში შევსებული და გადასწორებული იქნა ბულდოზერის მიერ. შემოწმების დროს ხორციელდებოდა გამოვლენილი მანგანუმის მადნის მოპოვება-გატანა და გამონამუშევარი სივრცეების შევსება-მოსწორება. ადგილზე დათვალიერების დროს, სალიცენზიო ტერიტორიის საზღვრეთ ნაწილში  $X=368684$ ;  $Y=4704849$  კოორდინატის მიმდებარედ ასევე დაფიქსირდა გარკვეული სამთო-სამუშაოების ჩატარების კვალი. ვიზუალურად ტერიტორია იყო გადასწორებული ექსკავირებული სამთო მასით. წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნულ ტერიტორიაზე აწარმოებდნენ დასინჯვით სამუშაოებს.

შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ განხორციელდა გამხსნელი ტრანშეების, მიწის ზედა ფენის და ფუჭი ქანის სანაყაროების, ასევე მანგანუმის მადნის დასაწყობების ადგილის მაკონტურებული GPS კოორდინატების აღება, ასევე გადაღებულ იქნა ფოტო სურათები, რომლებიც თან ერთვის აქტს.



მთავარი სპეციალისტი დავით ჩიკვაიძე



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქარო სამართლის იურიდიული პირი

წიალის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002204

2021 წლის „ 09 “ „ ივლისი “

(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს, ს/ნ 405 470 869;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №898/ს

ბრკანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი:

ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შამგარის მიმდებარე ტერიტორიაზე,

შამგარის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) მუსწავლა-მოპოვება;

კ-38-51-ნ ნომენკლატურის ტოპოგრაფიკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);


მიწისა და სამთო მინერალური რესურსების უარყოფი - 229 120 კვ. მეტრი.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

სალიცენზიო პირობები: \_\_\_\_\_  
**ბანსაგლვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანებით.**  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 09.07.2021 დან 10.07.2031 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს  
უფლებამოსილი წარმომადგენელი

  
(ხელმოწერა)



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და  
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ  
შესრულებაზე.

  
(ხელმოწერა)

ბ.ა



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020105950284121

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბრძანება № 898/ს

09 / ივლისი / 2021 წ.

### შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებების, 2021 წლის 7 ივლისს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, (აუქციონის შედეგად მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ტექნოლოჯი 2021“ (განაცხადის №396OTH221), სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 11 000 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუნესდეს მინისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 229 120 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-

გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შესრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

ე) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;

ვ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ბ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

თ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ი) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოდგენს უპერსპექტივო უბანს;

კ) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის შესაკუთრესთან შეთანხმებით;

ლ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ნ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ო) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის № 2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

პ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ჟ) არ დაამიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

რ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული წიაღისეულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ს) ექსპლუატაციისას მენყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ტ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვივების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის №9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

ყ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

შ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;

ჩ) „გ“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად;

ც) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების ( № 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის № 271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ძ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

წ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჭ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით;

ხ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;

ჯ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 1624, 10.09.2020 წ. (ID\_15637\_50521) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მონუმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.


4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერა/  
შტამბასმულია  
ელემენტურულად



ოთარი დანელია

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																					
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი - შქმერის მანგანუმის საბადო (უბანი ჭარნათი)																					
2	გენეტიკური ტიპი - ქიმიური დანალექი																					
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - მეტალურგიული ნედლეული																					
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																					
4.1	რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი																					
4.2	მუნიციპალიტეტი - ონი																					
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფელი შქმერი																					
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რ/ც ონიდან 14-15 კმ (პირდაპირი მანძილი)																					
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - აღემატება 10 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს																					
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. რიონის აუზი																					
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები -  <table border="1" data-bbox="365 745 698 1018"> <thead> <tr> <th>#</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>369139</td> <td>4705129</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>369035</td> <td>4704760</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>368415</td> <td>4704733</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>368653</td> <td>4705184</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">S = 229120 კვ.მ.</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	#	X	Y	1	369139	4705129	2	369035	4704760	3	368415	4704733	4	368653	4705184	S = 229120 კვ.მ.			WGS 1984		
#	X	Y																				
1	369139	4705129																				
2	369035	4704760																				
3	368415	4704733																				
4	368653	4705184																				
S = 229120 კვ.მ.																						
WGS 1984																						
4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 1700-1760 მ																					
4.9	კლიმატური პირობები - ნოტიო კლიმატი, საშუალოწლიური ტემპერატურა - +9-10 <sup>0</sup> , ნალექების წლიური რაოდენობა - 1200-1500 მმ.																					
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																					
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან - 15 მ-ში - გრუნტის გზა (მუნიციპალიტეტის ბაღანსი)																					
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან -																					
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან -																					
5.4	დამატებითი მონაცემები - ობიექტი ნაწილობრივ ეკვთს "ზურმუხტის ქსელის" ტერიტორიას																					
6	სატყეო რესურსები																					
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში - არ ფიქსირდება																					
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური - არ ფიქსირდება																					
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები -																					
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია																					
7.1	ტექტონიკური დარაიონება - ამიერკავკასიის მთათაშუა არე, ცენტრალური აზუების ზონა, ოკრიბა-ხრეთის ქვეზონა, შაორის ბლოკი.																					
7.2	გეოლოგიური აგებულება - საბადოს რაიონი აგებულია იურული, ცარცული, მესამეული და მეოთხეული ნალექებით.																					
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია																					
8.1	მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება - შქმერის მანგანუმის საბადო სამი უბნისაგან შედგება - შქმერი, კოდოსი-ბლაშუ და მეღეშური. პირველი ორი შქმერის ცარცული სინკლინური დეპრესიის ფარგლებში მდებარეობს, ხოლო მესამე - მეღაშურის უბანი მათგან სამხრეთით არის განლაგებული. სალიცენსიო ობიექტი მოიცავს შქმერის უბნის (ჭარნათის ქვეუბანი) ნაწილს. შქმერის საბადოს ფარგლებში, ზედა ცარცულ (ტურონული ხართული) კირქვებზე და „მთაგარის“ ეულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ არის განლაგებული ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექები, რომლებიც შქმერის სინკლინის მუღდას აგებს. ნალექების ფუძეში განლაგებულია მსხვილ- და საშუალომარცვლოვანი კვარცარკოზული ქვიშები და ქვიშაქვები.																					


	<p>კორქეისა და კაუის ქვარგვალებით. კვარცარკოზული ქვიშაქვების ზედა პორიზონტები გაუღწეოლია მანგანუმის ვანგულებით და უფრო ზევით გადადის პროდუქტულ პორიზონტში, რომელიც თავის მხრივ გადაფარულია მაიკოპის წყების არაკარბონატული ქვიშაიანი თიხებით. თიხები ხასიათდება ერთგვაროვნებით, ზედა ნაწილში შეიცავს ქვიშაქვებისა და მერგულების იშვიათ შუაშრებს. საბადოზე მაიკოპის წყების დიდი ნაწილი ეროზიითაა გადაარეცხილი.</p> <p>ოლიგოცენ - ქვედა მიოცენური ქანები გადაფარულია მეთოხეული ალუვიურ-დეკუვიური წარმონაქმნებით.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტი საბადოზე წარმოადგენს დაჯანგული და კარბონატული მადნების შრეების სერიას, რომელიც ასევე მორიგეობს ქვიშაიანი თიხებთან და კვარციანი ქვიშაქვებთან. მადნიანი შუაშრეების რიცხვი წებებაში 3-დან 10-12-მდე იცვლება. ცალკეული შუაშრის სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა.</p> <p>მანგანუმის მადანი ზედაპირზე გამოხაელებში დაეანგული ან ნაწილობრივ დაეანგულია, ხიდრმეში კარბონატულია, მარცვლოვანი (ოლითური) ან მახიურია, ზოგჯერ ფოროვანი. ოლითების დიამეტრი ძირითადად 1-2 მმ-ია, იშვიათად 10 მმ-დე.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტის ფუძეში ქვიშაქვები გაუღწეოლია მანგანუმის კანგულით ან კარბონატით.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტში, ხიდრმის მიმართულებით, აღინიშნება გამადნების ხასიათის ცვლილება - დაეანგული მადნები სწრაფად იცვლებიან კარბონატულით. ასევე, ხიდრმის გაზრდასთან ერთად, მატულობს შრეთაშორისი უმადნო ინტერვალები.</p> <p>შქმერის საბადოს მადნების ძირითადი მასა კარბონატულია, რომელიც გამოხაელებზე დაეანგულია. ზედაპირზე გაშიშვლებული კარბონატული მადანი თითქმის არ გვხვდება. მადნული სხეულების განლაგება სხვადასხვა უბნებზე განსხვავებულია. შქმერის უბანზე მანგანუმის პორიზონტისთვის დამახასიათებელია ტალღოვანი ზედაპირი, შრეები უმნიშვნელოდ იღუნება და იძირება მცირე ხიდრმეზე.</p>
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი - ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) - ღიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე - ცალკეული შრეების სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა. მანგანუმიანი პორიზონტის ჯამური სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი - შქმერის უბანზე მანგანუმიანი პორიზონტი თითქმის პორიზონტალურად არის განლაგებული.
8.6	დამატებითი მონაცემები -
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით - საბადოზე B კატეგორიის მარაგები დაიძიებულია ქსელით 200 x 200 მ-ზე, ხოლო C <sub>1</sub> კატეგორიისა 400 x 400 მ-ზე.
9.2	საძიებო სამუშაოები - თხრილები, შურფები, ტაბურდებები, შტოლნები.
9.3	დასინჯვა - აღებულია დარული და კერნული, აგრეთვე ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური სიხეები.
9.4	ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები - შქმერის საბადოზე გამოყოფილია კარბონატული და დაეანგული მადნები. კარბონატული მადანი ოლითური, მახიურია, იშვიათად ფოროვანი. შედგება კარგად გამოხატული კარბონატული ოლითებისაგან ზომებით 1-2 მმ-დან 5-6 მმ-მდე, იშვიათად 10 მმ. კარბონატული მადნიანი მინერალების გავრცელება რაიმე კანონზომიერებას არ ემორჩილება. დაეანგული მადანი ძირითადად შეიცავს ვერნადიტ-ფსილომელანის შედგენილობის მანგანუმის მინერალებს. მადნის ცემენტია თიხა-ლილიკატური, მანგანუმის და რკინის პიდროქანგებით გაუღწეოლი მასალა.
	<p>მადნების მინერალური შედგენილობაა:</p> <p>მთავარი მადნიანი მინერალები - როდოქროზიტი, მანგანოკალციტი, ფსილომელანი.</p> <p>მეორე რიგის მადნიანი მინერალები - ვერნადიტი, რანსეიტი, მანგანიტი, პირიტი, მარკაზიტი.</p> <p>იშვიათი მადნიანი მინერალები - ჰემატიტი, პეტიტი, პიდროპტიტი, პიდროპმატიტი, პიროტინი, რუტილი.</p> <p>არამადნეული მინერალები - კალციტი, ქალცედონი, კვარცი.</p>
9.5	პიტიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები - არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო - მეტალურგიულ წარმოებაში
9.7	დამატებითი მონაცემები -
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის ფართის დაძიების ხარისხი (სტადია) - ძიება, კვლავდაძიება
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში - 229120 მ <sup>2</sup>
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები -
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი -
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მანვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C <sub>1</sub> +C <sub>2</sub> და P) -
10.6	თანმდევრი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები - არ ფიქსირდება
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები -

10.8	დამატებითი მონაცემები -
11	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები - დამაკმაყოფილებელი.
11.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი - ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე გეოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი
11.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის ტოპოგრაფია - გამოშუშავების მომენტისათვის საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფია.
12	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია - წიაღითსარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმი-ჭყვიშო სვანეთის საშუალომთიან ზონაში და მოიცავს მთის მახვილებსა და სერებს შორის არსებულ მცირე განზომილების მქონე პლატოს, რომლის რელიეფი ტალღობრივი და უსწორმასწორო ზედაპირით გამოირჩევა და საფეხურებრივად ეშვება მდ. ხეურისა და მდ. ჭარნათისწყლის კალაპოტების მიმართულებით. პლატოს ზედაპირი ნაწილობრივ დაფარულია ბუჩქნარითა და მალაღმალეხვანი მცენარეებით.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ცარცული და მესამეული ასაკის ნალექები (კირქვები, ქვიშაქვები, კვარციანი ქვიშები), რომლებიც ზემოდან გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის ნიადაგის ფენით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) - წიაღითსარგებლობის ობიექტის ფარგლებში ხაშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები - მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - არ საჭიროებს.
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები - <ol style="list-style-type: none"> <li>1. წიაღითსარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე;</li> <li>2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას;</li> <li>3. გამომდინარე ობიექტის ფართობის სიდიდიდან, ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება მიზანშეუწონდად მიგვაჩნია. ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, ლიცენზიანტმა შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში (როგორც სალიცენზიო პირობა) თავად უნდა უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;</li> <li>4. ობიექტის შესწავლის დროს უნდა მოხდეს მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა;</li> <li>5. ობიექტი ნაწილობრივ კუთვს "ზურმუხტის ქსელის" ტერიტორიას; შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;</li> <li>6. შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან;</li> <li>7. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-5) გათვალისწინებით ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემა დასაშვებია.</li> </ol>
13	გეოლოგიური ინფორმაციის მოზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) - გ. გერსამია, ვ. თაბაგარი, გ. კუჭუხიძე, რ. სოჯავეა
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი - 1962 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № - №11064

შემსრულებლები:

ს. მკალაიუშვილი, ნ. ხომასიძე, ვ. ბაქანიძე, მ. ქიშკიაძე, გ. ბუცხრიკიძე, ნ. გუგავა

შეთანხმებულია,  
სასარგებლო წიაღისეულის მართვის  
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩაღათაიშვილი

#09/08-10

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტროს  
სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსს  
ბატონ ოთარ დანელიას

ბატონო ოთარ

როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანებით შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე შქმერის მანგანუმის შესწავლა-მოპოვების მიზნით, 10 წლის ვადით გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10002204 ლიცენზია და დაუწესდა მიწისა და სამთო მინაკუთვნი ფართობით 229 120კვ.მ-ის ოდენობით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ, განხილვის და შეთანხმების მიზნით წარმოგიდგენთ, ზემოაღნიშნული სამთო მინაკუთვნის ტერიტორიაზე დაგეგმილი მანგანუმის მადნის შესწავლის მიზნით შედგენილ სამუშაო გეგმას.

დანართი:

➤ პროექტი 41 ფურცელი;

წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით,

შპს „ტექნოლოჯი 2021“

დირექტორი

გიორგი ჟამუტაშვილი

06.08.2021



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ტექნოლოჯი 2021“

„ვამტკიცებ“

შპს „ტექნოლოჯი 2021“

დირექტორი

„-04-----“ -08----- 2021 წ.

შეადგინა

შპს „აბსოლუტ მენეჯმენტ ჯგუფი“-ს

დირექტორი დავითი რობაქიძე

„-04-----“ -08----- 2021 წ.

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე შქმერის  
მანგანუმის საბადოზე მანგანუმის (უბანი ჭარნათი) მადნის შესწავლის  
სამუშაოთა გეგმა

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების №100002204 ლიცენზია

(ტექსტი და გრაფიკული დანართები)

ქ.თბილისი

2021 წელი

## სარჩევი

1.	ლიცენზირებული ობიექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია.....	4
2.	მეტეოროლოგიური მახასიათებლები .....	4
3.	ზედაპირული წყლები .....	5
4.	გეომორფოლოგია.....	5
5.	გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა.....	6
6.	საშიში გეოდინამიკური მოვლენები.....	8
7.	გეოლოგიური ჭრილი საბადოს რაიონში ქვევიდან ზევით:.....	8
8.	საბადოს (მადანგამოვლინების) გეოლოგიური პოზიცია.....	9
12.	შრომისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე, ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები;.....	16
11.1	შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები .....	16
11.2	პირველადი სამედიცინო დახმარება, სახანძრო უსაფრთხოება, ევაკუაცია, მომეტებული საფრთხე.....	22
12.	გარემოსდაცვითი ღონისძიებები .....	25
12.1	ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე.....	25
12.2	ზემოქმედება ჰაერზე, ნიადაგზე, ფლორასა და ფაუნაზე.....	25
12.3	შემარბილებელი ღონისძიებები.....	25
13.	განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული (მისასვლელი გზები, მოსაწყობი მოედნები და სხვა) სამუშაოების აღწერა;.....	27
13.1	მისასვლელი გზის დაგეგმარება .....	27
13.2	საბურღი მოედნის მოწყობა.....	27
14.	ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და სოციალური პროექტების აღწერა.....	28
14.1	გარემოსდაცვითი ღონისძიებები.....	28
15.	სასარგებლო წილისეულის არსებული მოკლე ხარისხობრივი და ტექნოლოგიური დახასიათება.....	32
16.	მოსამზადებელი საექსკავაციო სამუშაოები.....	33
17.	სანაყარე მეურნეობა.....	33
18.	ექსკავირებული სამთო მასის ტრანსპორტირება.....	34

18.1 კარიერზე შესწავლის მიზნებისათვის საჭირო საექსკავაციო სამუშაოებისათვის ტექნიკი ჩამონათვალი და მომსახურე პერსონალის რიცხოზრივი შემადგენლობა .....	35
19. შესწავლის სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.....	36
20. რეკულტივაცია.....	38
21. დასკვნები და რეკომენდაციები .....	40
გამოყენებული ლიტერატურა და სახელმძღვანელო კანონმდებლობა .....	40

შპს „აბსოლუტ მენეჯმენტ ჯგუფი“

## 1. ლიცენზირებული ობიექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანებით შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შმერის მიმდებარე ტერიტორიაზე შქმერის მანგანუმის შესწავლა-მოპოვების მიზნით, 10 წლის ვადით გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10002204 ლიცენზია შემდეგი პირობების გათვალისწინებით; კერძოდ:

ა) დაუწესდა მიწისა და სამთო მინაკუთვნი ფართობით 229 120კვ.მ დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

## 2. მეტეოროლოგიური მახასიათებლები

კლიმატური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია შედის დასავლეთ კავკასიონის ნოტიო ჰავის ზონაში ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. უბნის კლიმატურის ცალკეული ელემენტები დახასიათებულია ონის მეტეოსადგურის მონაცემებით, რომელიც მდებარეობს აქვე ახლოს 788 მ. აბსოლუტურ სიმაღლეზე.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 10.0 °C ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით -1.0°C. აბსოლუტური მინიმუმია -27°C. ყველაზე თბილი თვე ივლისია საშუალო ტემპერატურებით 20.5°C. დაფიქსირებული მაქსიმალური ტემპერატურაა 38°C.

ჰაერის საშუალო ტემპერატურე ცხრილი.1

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
-1.0	0.3	4.0	9.5	14.5	17.6	20.4	20.5	16.4	11.2	5.8	0.8

მოსული ნალექების წლიური ჯამია 1048 მმ. ნალექების მაქსიმუმი მაისშია, ხოლო მინიმუმი იანვარში. წელიწადში საშუალოდ 138 დღე ნალექიანია. ნალექების დღეღამური აბსოლუტური მაქსიმუმია 80 მმ. თოვლი შესაძლებელია მოვიდეს ოქტომბრის ბოლო დეკადიდან ივნისის პირველი დეკადის ჩათვლით. თოვლის მყარი საბურველი იქმნება დეკემბრიდან აპრილის შუა რიცხვებამდე თოვლის საფრის საშუალო სიმაღლეა 34 მმ., ხოლო მაქსიმალურია 90 მმ.

ნალექების წლიური განაწილება, მმ.ცხრილი.2

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
17	81	81	84	103	98	80	79	96	98	92	89

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის წლიურის მაჩვენებელია 72%. წელიწადში საშუალოდ 44,9 დღე გამოირჩევა 80%-ზე მეტი ფარდობითი ტენიანობით, ხოლო ასეთი დღეების მაქსიმალური რაოდენობა 101.

უბანზე განვითარებულია ძირითადად ხეობის ტიპის ქარები, რომლებიც მაქსიმალურ სიჩქარეებს ზამთარში აღწევენ. საერთოდ აქ ქარის სიჩქარე დიდი არ არის და მისი წლიური საშუალოს მაჩვენებელია 1.3. მ/წმ. უბანზე ჭარბობს სამხრეთ-აღმოსავლეთის (18%) ქარები. გაცილებით ნაკლებია აღმოსავლეთის (10%) და ჩრდილო-დასავლეთის (8%) ქარები, ხოლო დანარჩენის მიმართულების ქარების სიხშირე 5-7%-ის ფარგლებშია. ქარზე დაკვირვებათა რიცხვის 51% შტილია. წელიწადში საშუალოდ 0.44 დღე გამოირჩევა ძლიერი ( $\geq 15$  მ/წმ) ქარებით, ხოლო მათი ყველაზე დიდი რაოდენობაა 3 დღე.

**ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე, მ/წმ ცხრილი.3**

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
13	17	19	20	22

### 3. ზედაპირული წყლები

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ზედაპირული წყლები მხოლოდ ხშირი წვიმების ან თოვლის დნობის დროს ყალიბდება დროებითი ნაკადების სახით, რომლებიც მთლიანობაში ფართობულ ხასიათს ატარებენ და მაშინვე ხდება ატმოსფერული წყლების თითქმის მთლიანი ნაწილის უშუალო ინფილტრაცია ფერდობის ამგებელ გრუნტებში, ხოლო ძლიერ მცირე ნაწილი ქმნიან დროებით გუბეებს, რომლებიც მალევე ქრება.

### 4. გეომორფოლოგია

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს კავკასიონის ქედის საშუალო და მაღალმთიანი რელიეფის ზონის, რაჭის ქედის სამხრეთ ნაწილში. რაჭის ქედი მდ. რიონის და მდ. ყვირილას წყალგამყოფია. მისი სიგრძე (თხემის გაყოლებით) 107 კმ-ია, სიგანე საჩხერე-ონის მონაკვეთზე 25 კმ. დასავლეთი და ცენტრალური მონაკვეთი მონოკლინური სტრუქტურით ხასიათდება, ამის გამო ჩრდილო ფერდობი სამხრეთ ფერდობზე უკეთესად არის განვითარებული. რაჭის ქედის უმაღლესი მწვერვალია ლებეური (2863 მ). მნიშვნელოვანი მწვერვალებიდან აღსანიშნავია ლეკნარი (1746 მ), ცხრაჯვარი (1569 მ), საწალიკე (1996 მ), ხიხათა (2239 მ), ფოცხვრევი (2402 მ), დაღვე-რილა (2724 მ). რაჭის ქედის დაბალ უღელტეხილებზე (ნაქერალა - 1217, ერწო - 1785 მ) გადის საავტომობილო გზები.

უშუალოდ საკვლევი უბანი მდებარეობს მდ.ხეორის ხეობის მარჯვენა ეროზიულ-დენუდაციური გენეზის ფერდობის ქვედა, სუსტად დახრილი ფერდობის ძირში, რაჭის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. შქმერის ქვაბულის სინკლინური სტრუქტურში, რომელიც შემოსაზღვრულია ხიხათის, რაჭის და ფოცხვრევის ქედებით.

გეოლოგიური სტრუქტურები გართულებულია ტექტონიკური რღვევის ხაზებით. სხვადასხვა მიმართულების რღვევის ხაზების გადაკვეთას (სეისმოტექტონიკური კვანძი) უკავშირდება 1991 წლის 29 აპრილის ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც რელიეფში საკმაოდ დიდი ცვლილებები გამოიწვია. ლითოლოგიური და ტექტონიკური პირობების გავლენა რაჭის ქედის რელიეფში მკვეთრად არის ასახული. დასავლეთით კარსტული რელიეფია წარმოდგენილი, ბაიოსის პორფირიტებით აგებულ მონაკვეთში - მკვეთრი კლდოვანი ფორმებია, ხოლო მესამეულ ნალექებში შედარებით ნაზი ფორმებია და რელიეფიც უფრო დაბალია.

შქმერის ქვაბულის ფრთები ფოცხვრევის და ხიხათას ქედები კარგად არის დაკარსტული. მდ.ხეორი ფოცხვრევის ქედს კვეთს და ავითარებს ვიწრო, კანიონისებურ, ღრმა ხეობას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ქვაგახეთქილას ეძახის, მდინარე კარსტულ სიღრმეებში იკარგება და ვოკლუზის სახით ხეობის ბოლოს გამოდის.

## 5. გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა

საკვლევი ტერიტორია ხასიათდება დამაბული ტექტონიკური პირობებით. იგი გადაკვეთილია სამი განედური მიმართულების ახალგაზრდა და ძველი რღვევებით, რომლებიც გართულებულია სხვადასხვა მიმართულების სხლეტვითი და წყვეტილი დისლოკაციებით და კარგადაა გამოკვეთილი რელიეფში. უშუალოდ საკვლევი უბანი მიეკუთვნება გაგრა-ჯავის ზონის „რაჭა-ლექხუმის სინკლინორიუმის ქვეზონას. ტექტონიკურმა მოძრაობებმა, რომლებიც დღემდე გრძელდება, თავისი დალი დაასვა ტერიტორიის სეისმურობას. მიწისძვრები ხელს უწყობს სამიში გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-განვითარების საკვლევ ტერიტორიაზე. იგი წარმოადგენს დროებით ხელშემწყობ ფაქტორს დიდი და პატარა ზომის მეწყრული სხეულების კლდეზვავების წარმოქმნისათვის.

ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ იურული, ცარცული, მესამეული და მეოთხეული სისტემის წარმონაქმნები, რომლებიც წარმოდგენილი არიან კლდოვანი, ნახევრადკლდოვანი, მსხვილმონატეხოვანი და თიხოვანი ქანებით.


**ზედა იურული ნალექები** კალოვიურ-ოქსფორდული ასაკის წარმონაქმნები გავრცელებულია ზემო რაჭის სინკლინის ჩრდილოეთ ფრთაზე (მდ. რიონის დინების ზემო წელის არეალში). ისინი წარმოდგენილი არიან სქელშრეებრივი მერგელებით, კარბონატული ფიქლებით და კირქვების შუაშრეებით, ხოლო სამხრეთ ფრთაზე წარმოდგენილია მუქი-ნაცრისფერი თიხებით და კარბონატული ქვიშაქვებით.

ოქსფორდულ-ტიტონური ასაკის წარმონაქმნები უწყვეტ ზოლად მიუყვება ზემო რაჭის სინკლინის ჩრდილო ფრთას. წარმოდგენილი არიან კირქვებით მერგელების შუაშრეებით, კარბონატული და ქვიშიანი კირქვებით, მიკროკონგლომერატებით და ბრექჩიული კირქვებით. ხოლო სამხრეთ ფრთაზე ლითოლოგიურად კარბონატული ფიქლებით, ფიქლოვანი თიხებით, ქვიშიანი კირქვებით და კარბონატული ქვიშაქვებით.

ცარცული ასაკი (აპტ-ალბური სართულის) ნალექები წარმოდგენილია თიხებით, ქვიშიან-თიხოვანი ფიქლებით და არგილიტებით, რომლებიც მორიგეობენ ქვიშაქვებთან.

სენომანური ნალექები გავრცელებულია მდ.ხეურის ხეობაში და წარმოდგენილია გლაუკონიტის ქვიშაქვებით.

**საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური რუკა**



მეოთხეულ საუკუნეში ცარცული ასაკის (K<sub>2</sub>) ტურონული და (K<sub>1al</sub>) ალბური სართულის კირქვები, წარმოდგენილია მერგელები, თიხები და მერგელოვანი კირქვებით.

ელუვიური ნალექები ლითოლოგიურად წარმოდგენილია ორი სახესხვაობით: იქ სადაც გავრცელებულია კარბონატული, ტერიგენულ-მეტამორფული და ვულკანოგენურ-დანალექი კლდოვანი ქანები, ელუვიური ნალექები წარმოდგენილია

ღორღით და ლოდნარით თიხა-თიხნაროვანი გრუნტის შემავსებლით. ხოლო იმ ადგილებში სადაც გავრცელებულია კარბონატულ-ტერიგენული, ლაგუნური, ფლიშური და ტერიგენული ნახევრად-კლდოვანი ფორმაცია, ისინი წარმოდგენილია თიხა-თიხნაროვანი გრუნტით ხვინჭა-ღორღის ჩანართებით. მათი სიმძლავრე 2-5 მ-ის ფარგლებში ცვალებადობს.

**დელუვიური ნალექები** ძირითადად წარმოდგენილია თიხა-თიხნაროვანი გრუნტით, რომლებიც შეიცავენ კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანების ხვინჭის და ღორღის ჩანართებს. იშვიათად გამოერევა ქვარგვალეების ჩანართები.

**კოლუვიური ნალექები** ლითოლოგიურად განსხვავებული ქანების ლოდნარითა და ნამსხვრევებითაა წარმოდგენილი. რეგიონის ერთეულ უბნებში კოლუვიური ნალექები წარმოდგენილია შედარებით მცირე ზომის ნატეხებით და ნამსხვრევებით, რომლებიც ხშირად შეცემენტებულია თიხოვანი მასალით. კარნიზების ძირში კოლუვიური ნალექების დანაგროვების სიმძლავრე ძლიერ ცვალებადია და მერყეობს 5-10 მეტრიდან 80 მეტრამდე. განსაკუთრებით ძლიერი სიმძლავრეები ახასიათებს კარნიზების და ციცაბო ფერდობების ძირში დაგროვილ მასალას.

**პროლუვიური ნალექები** რეგიონში ძირითადად გავრცელებულია მდ. რიონის ღვარცოფული შენაკადების შესართავებში და მდ. რიონის აუზში მდებარე მცირე ხეობების შესართავებში. პროლუვიური ნალექები ძირითადად წარმოდგენილია ცუდად დახარისხებული ხრემით და კენჭნარით, ქვიშისა და თიხნარების შემავსებლით.

## 6. საშიში გეოდინამიკური მოვლენები

სარეკონოსცირო მარშრუტების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორიაზე თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-გააქტიურების კვალი არ ფიქსირდება, ტერიტორიას გააჩნია მდგრადობის საკმარისი ხარისხი. კარიერის სწორი ექსპლუატაციის პირობებში არარსებობს რაიმე წიანპირობა საშიში გეოდინამიკური მოვლენების ჩასახვა-გააქტიურებისთვის.

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ტერიტორია მთლიანობაში საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07.87-ის მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

## 7. გეოლოგიური ჭრილი საბადოს რაიონში ქვევიდან ზევით:

**ბაიოსი** - ველკანოგენ-დანალექი წყება;

**ბათური** - რაიონში გაშიშვლებული არ არის, მაგრამ შაორის ნახშირშემცველ მოედანზე დგინდება ბურღვითი სამუშაოებით;

**ზედა იურული** - (კალოვიურ-ლუზიტანური იარუსები) მერგელოვანი თიხები და ქვიშაქვები, მერგელოვანი კირქვები, მასიური რიფული კირქვები, უფრო ზევით განლაგებულია ფერადი წყება (კამერიჯი-ტიტონი);

სქელშრეებრივი და შრეებრივი კირქვების შრენარი (ბარემული იარუსი), მერგელოვანი კირქვები (ბარემი-აპტი), თეთრი ფერის კირქვები და მერგელები (აპტური იარუსი), მოცისფრო თიხიანი მერგელები და მერგელოვანი თიხები (ალბური იარუსი), გლაუკონიტის ქვიშები, კაჟიანი კირქვები და არგილიტები (სენოზანი), თეთრი შრეებრივი კირქვები (ტურონი), „მთავრის“ წყების ვულკანოგენური წერმონაქმნები ბაზალტური ქანების ზეწრებით და გამკვეთი სხეულებით, კირქვების ლინზებით და შუაშრეებით (ზედა ტურონი), კირქვები წითელი და თეთრი ფერის ბენტონიტური თიხის შუაშრეებით, სქელშრეებრივი კირქვები (დანიური იარუსი);

**პალეოცენი** - წარმოდგენილია კარბონატული ფაციესით, სქელშრეებრივი და მასიური კირქვებით, მერგელებით და ქვიშიანი კირქვებით;

**ეოცენი** - თიხიანი და კირიან-ქვიშიანი მერგელები, ქვიშიანი კირქვები;

**ოლიგოცენ** - ქვედა მიოცენური მანგანუმის შემცველი ქანები \_ ქვიშიანი და მაიკოპის წყების თიხიანი ფაციესები და ამ ფაციესებს შორის განლაგებული მანგანუმიანი პროდუქტული წყება;

**მეოთხეული ნალექები** - წარმოდგენილია ელუვიური, დელუვიური, კოლუვიური, ალუვიური, პროლუვიური და გლაციალურ-ფლუვიოგლაციალური წარმონაქმნებით, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფიზიკურ-მექანიკური და საინჟინრო-გეოლოგიური თვისებებით.

## 8. საბადოს (მადანგამოვლინების) გეოლოგიური პოზიცია

მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება (სტრატეგრაფია, ლითოლოგია, ჰიდროგეოლოგია და სხვ.) – შქმერის მანგანუმის საბადო სამი უბნისაგან შედგება – შქმერი, კოლოსი-ბლაშე და მელეშური. პირველი ორი შქმერის ცარცული სინკლინური დეპრესიის ფარგლებში მდებარეობს, ხოლო მესამე - მელაშურის უბანი მათგან სამხრეთით მდ. ხეურის ხეობაშია განლაგებული.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს შქმერის უბნის, ჭარნათის ქვეუბანის ტერიტორიაზე, რომელიც განლაგებულია მდ. ჭარნათისწყალის ხეობის აღმოსავლეთ ნაპირზე.

საბადოს ფარგლებში, ზედა ცარცული ტერონული იარუსის კირქვებზე და „მთავარის“ ვულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ არის განლაგებული ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექები, რომლებიც შქმერის სინკლინის მულდას აგებს.

ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექების ფუძეში განლაგებულია მსხვილ- და საშუალომარცვლოვანი კვარც-არკოზული ქვიშები და ქვიშაქვები, კირქვისა და კაჟის ქვარგვალეებით. ნალექების სიმძლავრე მერყეობს რამდენიმე სანტიმეტრიდან 8-10 მ-დე (მატულობს აღმოსავლეთი მიმართულებით). კვარც-არკოზული ქვიშაქვების ზედა ჰორიზონტები გაჟღენთილია მანგანუმის ჟანგეულებით და უფრო ზევით გადადის პროდუქტულ ჰორიზონტში, რომელიც გადაფარულია მაიკოპის ფაციესის არაკარბონატული ქვიშიანი თიხებით. თიხები ხასიათდება ერთგვაროვნებით, ზედა ნაწილში ქვიშაქვებისა და მერგელების იშვიათი შუაშრეებით. საბადოზე მაიკოპის წყების დიდი ნაწილი ეროზიითაა გადარეცხილი.

ოლიგოცენ – ქვედა მიოცენური ქანები სალიცენზიო უბნის გარეთ გადაფარულია საკმაოდ მძლავრი მეოთხეული ალუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით. შქმერის საბადოს მანგანუმიანი ჰორიზონტის აგებულება და გამაღწევის ხასიათი ჭიათურის საბადოს დარკვეთისა და სარეკის ზეგნების მადნიანი წყებების იდენტურია.

მანგანუმიანი ჰორიზონტი საბადოზე წარმოადგენს დაჟანგული და კარბონატული მადნების შრეების სერიას, რომელიც ასევე მორიგეობს ქვიშიან თიხებთან და კვარციან ქვიშაქვებთან. მადნიანი შუაშრეების რიცხვი წყებაში 3-დან 10-12-ია. ცალკეული შუაშრის სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა. მანგანუმიანი ჰორიზონტის ჯამური სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.

მანგანუმის მადანი ზედაპირზე გამოსავლებში დაჟანგული ან ნაწილობრივ დაჟანგულია, სიღრმეში კარბონატულია, მარცვლოვანი (ოლითური) ან მასიურია, ზოგჯერ ფოროვანი. ოლითების ზომები 1-2 მმ-ია, იშვიათად 10 მმ-დე დიამეტრში. მადანთშორისი თიხებისა და ქვიშაქვების შუაშრეების სიმძლავრე სალიცენზიო უბანზე არ აღემატება 0,5 მ-ს, ზოგან კი საერთოდ არ გვხვდება.

მანგანუმიანი ჰორიზონტის ფუძეში ქვიშაქვები გაჟღენთილია მანგანუმის ჟანგეულით ან კარბონატით. ამ ქანების სიმძლავრე მაქსიმუმ 2,0-2,5 მ-ია.

მანგანუმიანი ჰორიზონტში, სიღრმის მიმართულებით, აღინიშნება გამაღწევის ხასიათის ცვლილება – დაჟანგული მადნები სწრაფად იცვლებიან კარბონატულით. ასევე, სიღრმის გაზრდასთან ერთად, მატულობს შრეთაშორისი უმადნო ინტერვალები. სიღრმეში, 10 მის ქვემოთ, მადნების ჟანგვა აღინიშნება მხოლოდ ნაპრალებისა და დაშრეების გასწვრივ, ამათ ქვემოთ კი, მანგანუმის კარბონატული მადნებია გავრცელებული. შქმერის საბადოს მადნების ძირითადი მასა

კარბონატულია, რომელიც გამოსავლებზე დაჟანგულია. ზედაპირზე გაშიშვლებული კარბონატული მადანი თითქმის არ გვხვდება. ჭარნათის უბანზე დაჟანგული მადნები ძლიერ მოგვაგონებენ პირველად (პეროქსიდულ) მადნებს.

სალიცენზიო ჭარნათის უბანზე მანგანუმთან კორიზონტი აწეულია და ნაწილობრივ გადაყრავებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, რის გამოც მადნიანი მასის ნაყარი ფარავს მაიკოპის თიხიან წყებას. საერთოდ, მანგანუმის კორიზონტისთვის დამახასიათებელია ტალღობრივი ზედაპირი, შრეები უმნიშვნელოდ იღუნება და ასევე იძირება მცირე სიღრმეზე. უბანზე, მიუხედავად დაძირვისა, მანგანუმთან კორიზონტი მაინც ყოველთვის მდინარის ბაზისის მაღლა რჩება.

უბნის დასავლეთ ნაწილში გადასახსნელი ქანების სიმძლავრე 5-15 მ-ია, საშუალოდ 10 მ, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში \_ 1-12 მ, საშუალოდ \_ 6,5 მ.


## 9. ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე), საკვლევი ტერიტორია მოქცეულია დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა ზონის წყალშემცველი სისტემის რაჭა-ლეჩხუმის ნაპრალოვანი წყლების ჰიდროგეოლოგიურ ოლქში.

მორფოლოგიურად აუზი წარმოადგენს ჰომოგენურ სინკლინს, რომელიც აგებულია მეზოზოურ-კაინოზოური ასაკის ქანებით. იურული და ქვედაცარცული ასაკის ქანები გვხვდება მოშორებით, მთიან ტერიტორიებზე, მაშინ როდესაც ცენტრალურ, გორისებურ ნაწილს აგებს ზედაცარცული და კაინოზოური წარმონაქმნები.

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკა

მასშტაბი: 1:2 000 000



რუკა-ლეჩხუმის ნაპრალოვანი წყლების ჰიდროგეოლოგიურ ოლქი


მდ. რიონის ზემო წელში მიწისქვეშა წყლების სიუხვე განპირობებულია ზედაპირული წყლების მდიდარი ჰიდროგეოლოგიური ქსელით. მდ. რიონს, სათავეებში, მრავალი შენაკადი უერთდება. ქანების ნაპრალიანობასა და წყალშეღწევადობასთან ერთად, წვიმის წყლის ჩაჟონვისთვის ხელსაყრელი პირობების არსებობას განაპირობებს ასევე ნალექების სიუხვე (1000 მმ/წ), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მიწისქვეშა წყლების მარაგების დაგროვების კიდევ ერთ ფაქტორს.

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულია (ზედა ჰორიზონტებში), ხოლო ქვედა ჰორიზონტებში ჭარბობენ ქლორიდული წყლები. სამშენებლო მოედნის ფარგლებში გავრცელებულია ძირითადად ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი, რომელთა დონეები პრაქტიკულად ემთხვევა მდინარის წყლის დონეს და უმეტესად ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულია.

10. სეისმიკა

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების უახლოესი სქემის მიხედვით ონის მუნიციპალიტეტის სოფ.შქმერი განთავსებულია 9 ბალიან (MSK64) სეისმურ ზონაში (პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"), ხოლო ამგები გრუნტები ამავე დოკუმენტის #1 ცხრილით სეისმური თვისებების მიხედვით განეკუთვნებიან III კატეგორიას.

საინჟინერო-საშენიანო რუკა  
მაქსიმალური პორიზონტული აქცერაცია



გამომდინარე აქედან საკვლევი ტერიტორიის სეისმურობად მიღებულ იქნეს 9 ბალი,  $A=0.39$  სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი.

## 11. გეოლოგიური შესწავლის მიმართულებების დასაბუთება

მინერალური რესურსები და მარაგები განისაზღვრება საბადოს მოცულობის და ხარისხის მიხედვით. საბადოს შეფასება ხდება მისი უწყვეტობის, ფორმის და ხარისხის გარკვეული ინტერპრეტაციების და ვარაუდების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები მიახლოებითია მანამ სანამ მთლიანი საბადო არ არის მოპოვებული, იმ შემთხვევაში, როდესაც საბადო გულდასმით არის გამოკვლეული, შესაძლებელია საბადოს მოცულობის და ხარისხის თითქმის ზუსტი ვარაუდი.

სამეწარმეო გამოყენების მიხედვით მინერალური რესურსი იყოფა **ეკონომიკური ან არაეკონომიკური** კატეგორიებად.

მინერალური რესურსების საბადო ეკონომიკურია, როდესაც მას გააჩნია კომერციული ღირებულება. საბადოში მინერალების ან მეტალების კონცენტრაცია მკვეთრად განსხვავებულია. მაგალითად, მინერალი კვარცი, ეკონომიკური რესურსია თუ კვარცის ქვიშა გამოიყენება მინის ან ოპტიკის წარმოებაში, თუმცა იგივე მინერალი

არაეკონომიკური რესურსია, როდესაც ის საბადოში ოქროს, სპილენძის, თუთიის ან რკინის მადნის თანმდევი მინერალია. ამ შემთხვევაში, კვარცი კომერციულად გამოუსადეგ ან სამთო სამრეწველო ნარჩენად მოიაზრება.

ეკონომიკურ მინერალურ რესურსებს განეკუთვნება ის მინერალური რესურსები (სათბობ-ენერგეტიკული, მადნეული, სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების მინერალური რესურსები), რომლებიც ღირებულია მათი ფიზიკური ანდა ქიმიური თვისებების გამო და შეიძლება მათი ბაზრებისთვის მიწოდება, რათა შემდგომ მოხდეს მათი სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენება.

**საბადოს სამრეწველო-ეკონომიკური შეფასების ძირითადი ამოცანებია:**

- 1) საბადოებისა და მადანგამოვლინებების თანმიმდევრული შეფასება მათი შესწავლის ყველა სტადიაზე და მოცემული მომენტისათვის არარენტაბელურ მინერალიზებულ ტერიტორიებზე გეოლოგიური სამუშაოების დროული შეჩერება, ასევე პერსპექტიული საბადოების გამოყოფა და მათი მომზადება შემდგომი შესწავლისათვის;
- 2) მომდევნო საძიებო სამუშაოების ეფექტიანობის განსაზღვრა მოცემულ სასარგებლო წიაღისეულზე არსებული საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებით;
- 3) გამოყოფილი პერსპექტიული სხვადასხვა რეგიონისა და სტრუქტურების შემდგომი შესწავლისათვის განსახორციელებელი საძიებო-გეოლოგიური სამუშაოების ეფექტიანობისა და აქედან გამომდინარე, რენტაბელობის განსაზღვრა;
- 4) ყველაზე პერსპექტიული უბნების და საბადოების გამოყოფა, მათი შესწავლის და შემდგომი ექსპლუატაციის ვადების განსაზღვრა, დასაპროექტებელი მადაროს ან/და კარიერის სტრუქტურული თავისებურებების ჩამოყალიბება;
- 5) მინერალური ნედლეულის შეფასება, საბადოს ექსპლუატაციის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებლად აუცილებელი კაპიტალდაზღვრების და სასარგებლო წიაღისეულის ამოღების, გამდიდრების და საბოლოო გადამუშავების დანახარჯების გათვალისწინებით.

**საბადოს შესაფასებლად აუცილებელ საწყის მონაცემებში გამოიყოფა შემდეგი ფაქტორები: გეოგრაფიულ-ეკონომიკური, გეგმიური და გეოლოგიური.**

გეოგრაფიულ-ეკონომიკური მნიშვნელობები საბადოს ან/და გამოვლინების შეფასებაში ხშირად გადამწყვეტია: საბადოს რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, სამრეწველო საწარმოების არსებობა, მოსახლეობის რაოდენობა და

დასაქმებულობა, თავისუფალი მუშახელის არსებობა, სატრანსპორტო პირობები, სამშენებლო მასალებით, ელექტროენერჯითა და წყლით უზრუნველყოფის ხარისხი, ელექტროგადამცემი ხაზების, წყლის მომწოდებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობის აუცილებლობა, რესურსის მოცულობა და სხვ. ამ პრობლემების დადებითად გადაწყვეტის ხარისხი საბადოს ეკონომიკური პოტენციალის პირდაპირპროპორციულია.

**გეგმური ფაქტორებია:** მარაგების ბალანსი (სანდოობის კატეგორიების შეფარდება), მისი გაუმჯობესების პერსპექტივები, ქვეყნის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნილებები ამ მინერალურ ნედლეულზე, ახალი სამრეწველო ორგანიზაციების და ცენტრების შექმნის პერსპექტივა, მინერალური ნედლეულის ამოღების და გამდიდრების ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები და სხვ. ეს ყველაფერი განაპირობებს ისეთი გეოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბებას, რომელსაც ხელეწიფება ამ საკითხების კომპეტენტური შესწავლა და შედეგების განზოგადება.

გეოლოგიური ფაქტორები საბადოს შესწავლის ყველა საფეხურზე მისი შეფასების საფუძველია. ეს ფაქტორებია: მადნიანი რაიონის, მადნიანი ველის და საბადოს გეოლოგიური სტრუქტურა; მათ საზღვრებში სასარგებლო მინერალიზაციის განაწილების კანონზომიერებები; ტერიტორიის გეომორფოლოგიური თავისებურებები; მადნიანი სხეულების განლაგების სიღრმე და პირობები, მათი მორფოლოგია, ზომები, შინაგანი აგებულება, წოლის ელემენტები და მარაგები; ჟანგვის და მეორადი გამდიდრების ზონების, მადნიანი სვეტების არსებობა და შესწავლილობის დონე; სასარგებლო წიაღისეულის ნივთიერი და მინერალური შედგენილობა, მისი ხარისხი და ტექნოლოგიური თვისებები, მადნის ბუნებრივი ტიპები და სამრეწველო სორტები; მადნებისა და შემცველი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები; დამუშავების ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, აირშემცველობის, თერმული და სხვა თავისებურებანი.

ეს ფაქტორები ყოველთვის მეტ-ნაკლებად პროგნოზულია და საბადოს შეფასების სანდოობა მთლიანად დამოკიდებულია მათი შესწავლის სიზუსტეზე, სისრულესა და უტყუარობაზე. ამ მოთხოვნების უგულებელყოფა შეიძლება განაპირობოს უხეში შეცდომები, რაც სამთო-მოპოვებითი სამუშაოების მნიშვნელოვან გაძვირებას გამოიწვევს.

მადანგამოვლინების ყოველ კონკრეტულ უბნებზე გეოლოგიური შესწავლის, მიმართულება, მეთოდები და სამრეწველო-ეკონომიკური შეფასების სწორი დაგეგმარება/შესრულება ძალზედ მნიშვნელოვანია, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო აღრიცხვისთვის და შემდგომში მისი რაციონალური გამოყენებისათვის რაც თავისთვად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ამდენად, მოცემული პროექტის მიზანია, ლიცენზირებულ ტერიტორიაზე სწორად იქნას დაგეგმარებული პოტენციური მადნიანი ველის გეოლოგიური ბურღვითი სამუშაოები და შესწავლილი მანგანუმი-მარგანეცი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში, რკინა-მანგანუმის შენადნობების – ფერომანგანუმის, ფოლადის და უჟანგავი ფოლადის წარმოებაში, ელექტროტექნიკურ და ქიმიურ მრეწველობაში, მედიცინაში, ფარმაცევტული პრეპარატების, ლაქ-საღებავების წარმოებაში, კერამიკაში, მინის, ტყავის წარმოებაში, ფოტოგრაფიაში.

## 12. შრომისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე, ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

### 11.1 შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები დამსაქმებლის ვალდებულებები:

საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია:

- ✓ დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;
- ✓ იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;
- ✓ უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;

- ✓ აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;
- ✓ უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება დადგენილი წესის თანახმად;
- ✓ შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება;
- ✓ უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორები (მათ შორის, ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები, პრეპარატებში შემავალი მიკროორგანიზმები – პროდუცენტები).
- საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია:
  - ✓ შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;
  - ✓ სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;
  - ✓ საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;
  - ✓ არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

**დამსაქმებელმა სწავლების (ტრენინგების) ჩატარება უნდა უზრუნველყოს:**

- ✓ დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;
- ✓ დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;
- ✓ ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;
- ✓ განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.
  - საწარმოს სიდიდისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება:
    - ✓ პროფესიულ რისკებსა და მავნე საწარმოო ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან, და დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას, აგრეთვე მათგან თავის დაცვის მექანიზმებს;
    - ✓ რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები, და რისკების შედეგების შეფასებას, მათ შორის, დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებს;
    - ✓ საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;
    - ✓ აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოში შესვლასთან, იქ ყოფნასთან და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
    - ✓ გარკვეული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებს.
  - დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით;
  - დამსაქმებელი ვალდებულია გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

### პრევენცია:

➤ დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, საწარმოს სიდიდიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეაფასოს ეს რისკი, უნდა განაახლოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

- ✓ იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- ✓ შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;
- ✓ იზრუნოს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;
- ✓ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- ✓ შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;
- ✓ საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს;
- ✓ ვოლექტიური დაცვის საშუალებებს მიანიჭოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- ✓ დასაქმებულებს ჩაუტაროს შესაბამისი სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი;
- ✓ უზრუნველყოს სამუშაოს ადაპტირება დასაქმებულთან, განსაკუთრებით – სამუშაო სივრცის მოწყობის, სამუშაო აღჭურვილობის, სამუშაო და საწარმოო

მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით.

➤ დამსაქმებელი ვალდებულია რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი შეინახოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

საწარმოს სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელი ვალდებულია:

➤ ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობით განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა;

➤ უზრუნველყოს რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის დაშვება, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სპეციალური სწავლება ან ინსტრუქტაჟი;

➤ გამოავლინოს და აღრიცხოს საფრთხის შემცველი სამუშაო ადგილები;

➤ უზრუნველყოს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება;

➤ მოთხოვნის შემთხვევაში ზედამხედველ ორგანოს მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი და შეასრულოს ამ ორგანოს მითითებები;

➤ საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;

➤ დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა;

➤ უზრუნველყოს დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

➤ არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს.

### **შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა:**

➤ შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზებისათვის, დამსაქმებელი ვალდებულია ჰყავდეს 1 ან მეტი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან აღნიშნული მიზნით შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური. დასაქმებულებთან შეთანხმებით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დასაქმებულთა წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

➤ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სამსახური აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და ინსტრუმენტებით.

➤ თუ საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით დამსაქმებელს არ ჰყავს სათანადო რაოდენობის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დამსაქმებელი ვალდებულია მოიწვიოს აღნიშნული დარგის სპეციალისტები/ორგანიზაციები.

➤ შრომის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია (უნარები და ტექნიკური ჩვევები, რომლებიც დასტურდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ აკრედიტებულ ორგანიზაციაში პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატით).

➤ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. ამ პროგრამის მოცულობა, განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

➤ საქმიანობის სპეციფიკიდან და დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე, საწარმოს შეიძლება ჰყავდეს საწარმოო ექიმი. საწარმოო ექიმს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი ერთ-ერთ შემდეგ სპეციალობაში: „შინაგანი მედიცინა“, „საოჯახო მედიცინა“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, „პროფესიული პათოლოგია“.

## 11.2 პირველადი სამედიცინო დახმარება, სახანძრო უსაფრთხოება, ევაკუაცია, მომეტებული საფრთხე

### დამსაქმებელი ვალდებულია:

- საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით მიიღოს პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები;
- განახორციელოს აუცილებელი და მყისიერი კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან.
- დამსაქმებელი ვალდებულია პირადად ან/და დანიშნული/მოწვეული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ან სპეციალური სამსახურის მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობოს ყველა დასაქმებულსა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომლებსაც ემუქრებათ ან შეიძლება დაემუქროთ მომეტებული საფრთხე, პრევენციული და საევაკუაციო ზომებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ.
- მომეტებული საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა და გასცეს სამუშაოს შეწყვეტის ბრძანება, რათა დასაქმებულებმა და სამუშაო სივრცეში მყოფმა სხვა პირებმა შეძლონ სამუშაო ადგილებიდან უსაფრთხო ზონაში გასვლა.
- დამსაქმებელს უფლება არ აქვს, მოსთხოვოს დასაქმებულს ან სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს სამუშაოს გაგრძელება მანამ, სანამ არსებობს მომეტებული საფრთხე.
- დასაქმებული არ უნდა აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში მომეტებული საფრთხის არსებობის დროს სამუშაო ადგილის ან/და საფრთხის შემცველი ტერიტორიის მიტოვებისას საკუთარი ქმედების გამო და დაცული უნდა იყოს ზიანის მინიმალური შედეგებისაგან.
- დამსაქმებელმა უნდა იზრუნოს, რომ მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში თითოეულ დასაქმებულს/სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომელსაც არ შეუძლია მიმართოს უშუალო ხელმძღვანელს, ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, დატოვოს სამუშაო ადგილი, საკუთარი ან სხვა პირების უსაფრთხოების დასაცავად, რათა

**დასაქმებული ვალდებულია:**

- იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;
- ითანამშრომლოს დამსაქმებელთან და დასაქმებულთა წარმომადგენელთან შრომის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის;
- დაუყოვნებლივ აცნობოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე;
- შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, გამოიყენოს მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დამსაქმებლის ინსტრუქციებისა და მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
- მართოს სპეციალური წესების მიხედვით განსაზღვრული, მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებული სამუშაო ტექნიკა და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი მოწმობა, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სამუშაოს შესრულება დამსაქმებელმა დაავალა;
- თვითნებურად არ გამორთოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები და აღნიშნული მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;
- დაუყოვნებლივ წარუდგინოს დამსაქმებელს ან მის წარმომადგენელს ინფორმაცია ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება სამუშაო სივრცეში საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გამოიწვიოს უბედური შემთხვევა ან საშიში შემთხვევა, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში;
- დაესწროს დამსაქმებლის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოების შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;

- გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლის შესრულებისთვისაც აღნიშნული გამოკვლევების გავლა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, საწარმოო ექიმისა და ზედამხედველი ორგანოს განკარგულებები, მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;
- დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;
- ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭირო იქნება სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვისათვის ნებისმიერი დავალების ან ზედამხედველი ორგანოს მოთხოვნების შესასრულებლად;
- ითანამშრომლოს დამსაქმებელთან ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა წარმომადგენელთან მანამ, სანამ დამსაქმებელი არ დარწმუნდება, რომ სამუშაო გარემო და სამუშაო პირობები საშიშროებას არ უქმნის დასაქმებულთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას;
- თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მომზადებისა და დამსაქმებლის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესაბამისად იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლებსაც საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით ზიანი მიადგათ.

**სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ვალდებულებები:**

სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი ვალდებულია:

- ✓ იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;
- ✓ დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, საწარმოო ექიმისა და ზედამხედველი ორგანოს განკარგულებები საწარმოო გარემოსა და არასაწარმოო გარემოში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- ✓ არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;
- ✓ გონივრული ეჭვის არსებობისას დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში გაიაროს შემოწმება იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში;
- ✓ დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

## 12. გარემოსდაცვითი ღონისძიებები

### 12.1 ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული პირველად სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს ვიზუალური დაკვირვებით გრუნტის წყლების გამოსავლები მიწის ზედაპირზე არ ფიქსირდება, შესაბამისად მათზე ზემოქმედება ნულოვანია. რაც შეეხება ზედაპირულ წყლებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ისინი პრაქტიკულად მხოლოდ წვიმის დროს ყალიბდება პატარა შეგუბების სახით და მალევე ქრებიან, ხოლო მდ. ხეორის და მის უსახელო შენაკადზე ზემოქმედება ნულოვანი იქნება, რადგან მდინარეული ქსელი სკვლევი უბნიდან დაშორებულია საკმარისად შორ დისტანციაზე.

### 12.2 ზემოქმედება ჰაერზე, ნიადაგზე, ფლორასა და ფაუნაზე

ჰაერზე მცირედი ზემოქმედება შესაძლოა გამოიწვიოს სამუშაო ტექნიკის მუშაობამ, ზემოქმედება გამოიხატება მტვრის წარმოქმნაში და ტექნიკის ძრავის მუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნამწვი აირების პერიოდულ გაფრქვევაში.

შესწავლის სამუშაოების მიზნით სამთო სამუშაოების დაწყებამდე ლიცენზიის პირობის თანახმად შედგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში სადაც დეტალურად იქნება კვლევა წარმოდგენილი ჰაერზე, ნიადაგზე, ფლორასა და ფაუნაზე. ასევე გარემოსდავის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნება სალიცენზიო ფართობში არსებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, დასაწყობების და გამონამუშევარი უბნების რეკულტივაციის პროექტი.

### 12.3 შემარბილებელი ღონისძიებები

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

- უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა.
- სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა, რომელთა გამონაბოლქვი იქნება მნიშვნელოვანი (ტექნიკური გაუმართაობის გამო) სამუშაო უბნებზე არ დაიშვებიან;
- უზრუნველყოფილი იქნება მანქანების ძრავების ჩაქრობა ან მინიმალურ ბრუნზე მუშაობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება (განსაკუთრებით ეს შეეხება სამშენებლო ბანაკზე მოქმედ ტექნიკას);
- უზრუნველყოფილი იქნება მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა, როგორც შიდაუბნებზე ასევე ცენტრალურ საავტომობილო გზაზე;
- მიწის სამუშაოების წარმოების და მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვისას მტვრის ჭარბი ემისიის თავიდან ასაცილებლად მიღებული იქნება სიფრთხილის ზომები (მაგ. აიკრძალება დატვირთვა-გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან მასალის დაყრა);
- სამუშაოების დაწყებამდე პერსონალს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი;
- საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მოხდება მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გათვალისწინებით.
- გრუნტის წყლებზე გამომდინარე იქედან, რომ საკვლევ ტერიტორიაზე მათი გამოვლინება არ ფიქსირდება შესაბამისად მათზე ზემოქმედება ნulloვანია.
- ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება პრაქტიკულად ნulloვანია, რაც გამომწვეულია იმით, რომ აღნიშნული ტერიტორიის ინტენსიური დატვირთვის გამო არ გვხვდება ცხოველთა მუდმივი საბინადრო არეალი.

ამასთან, კომპანია როგორც წიაღით მოსარგებლე სუბიექტი ექსპლუატაციის პერიოდში ვალდებულია დაიცვას, პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კოდექსი, საქართველოს კანონები „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, „გარემოს დაცვის“,

„ნიადაგის დაცვის“, „წიაღის“, „წყლის“ „ატმოსფერული ჰაერის“ დაცვის შესახებ, ასევე, ტექნიკური რეგლამენტის „კარიერების უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნები.

### 13. განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული (მისასვლელი გზები, მოსაწყობი მოედნები და სხვა) სამუშაოების აღწერა;

#### 13.1 მისასვლელი გზის დაგეგმარება

ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია არსებული გრუნტიანი გზის რეაბილიტაცია, რომელიც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ საკარიერო უბანზე, საბურღი დაზგების, ექსკავატორების და ავტოთვიომცლელების გადაადგილების მიზნით, ასევე ლიცენზირებულ ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალის ავტოტრანსპორტით გადასადგილებლად.

სამთო მინაკუთვნი საბურღი მოედნების მოწყობის და მათზე დაზგების განთავსების მიზნით, არსებული ძველი გრუნტიანი გზიდან მოხდება სამთო მინაკუთვნის თითოეული უბნის დატერასება.

გზის სიგანე შემხვედრი სატვირთი ავტოტრანსპორტის უსაფრთხოდ გვერდის ავლის მიზნით გათვალისწინებულია 4-5 მეტრი. გაყვანის დროს ექსკავირებული სამთო მასა შემდგომი რეკულტივაციის მიზნით დასაწყობებული იქნება მიმდებარედ არსებულ ძველ სამთო გამონამუშევარში.

#### 13.2 საბურღი მოედნის მოწყობა

ზემოაღნიშნული მისასვლელი გზების მოწყობის შემდგომ, საფეხურებზე დაგეგმარებული იქნება ბურღვის წერტილები შესწავლის ბადით 25×30-ზე. ბურღვის თითოეული ადგილიდან გაბურღილი იქნება ვერტიკალური 90° და 45°-ით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით დახრილი ჭაბურღილები, ასევე მოწყობილი იქნება სამთო საძიებო სამთო გამონამუშევრები შურფების და ტრანშეების სახით.

სამთო მინაკუთვნის პარამეტრების (ფათობის, რელიეფის მდგომარეობის და სხვა) მონაცემების გათვალისწინებით მიზანშეწონილია მოწყობილი იქნას 60 მეტრი სიმაღლის ვერტიკალური 90° და 90-მეტრამდე სიგრძის 45° დახრილობის ჭაბურღილი. ბურღვის დიამეტრი შერჩეული საბურღი მოწყობილობის მიხედვით საორიენტაციოდ იქნება 80-100 მმ. აუცილებელია, რომ ბურღვის დროს მაქსიმალურად იქნას მიღებული კერნის მაღალი გამოსავალი 90 % და მეტი, აღწერილი და დანომრილი იქნება თითოეული კერნის გამოსავალი სპეციალურად შექმნილ

ჟურნალში. კერძო ჩაწვრილი იქნება სპეციალურ ყუთებში კვალიფიციური გეოლოგის მიერ და განსაზღვრული იქნება ლაბორატორიული კვლევისათვის ნიმუშების რაოდენობა. მოხდება ჭაბურღილის ლითოლოგიური ჭრილის ჩანახატის წარმოება სპეციალურ ჟურნალში.

ასევე, ისეთ ადგილებში, სადაც ფიქსირდება მანგანუმის მადნის ზედაპირული გამოსავლები, შესწავლის მიზნით მოწყობილი იქნება სამთო გამონამუშევრები შურფების და ტრანშეების სახით.

#### 14. ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და სოციალური პროექტების აღწერა

##### 14.1 გარემოსდაცვითი ღონისძიებები

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანებით შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ვალდებულია განახორციელოს შემდეგი გარემოსდაცვითი ღონისძიებები, კერძოდ:

➤ **ვალდებულება** - ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთვნის ფარგლებში წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა უნდა განახორციელოს არაუმეტეს 3 წლის ვადაში. არაუგვიანეს შესწავლის ვადის ამოწურვისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დასამტკიცებლად შესაბამის ორგანოში წარადგინოს შესწავლის მასალები.

**დაგეგმილი ღონისძიება** - მოცემული ვალდებულების შესრულების მიზნით, კომპანია აღნიშნული პროექტის გათვალისწინებით გეგმავს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში და მაღალკვალიფიციური შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით უზრუნველყოს საბადოზე საძიებო-გეოლოგიური სამუშაოების განხორციელება. მარაგების ანგარიშის შედგენა და მისი დამტკიცების მიზნით, მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიაზე წარდგენა;

➤ **ვალდებულება** - სამთო სამუშაოების დაწყებამდე შედგენილი უნდა იქნას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;

**დაგეგმილი ღონისძიება** - კომპანიის მიერ, ჯერ კიდევ სამუშაოების განხორციელებამდე მოცემულ პროექტით წარმოდგენილია საინჟინრო გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება, ამასთან, ლიცენზირებულ ტერიტორიაზე საძიებო-გეოლოგიური სამუშაოების წარმოების პროცესში განხორციელდება

მუდმივი მონიტორინგი და პერიოდულად შედგენილი იქნება საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასების შესახებ სათანადო დოკუმენტაცია, ხოლო სამთო სამუშაოების დაწყებამდე შედგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;

➤ **ვალდებულება** - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;

**დაგეგმილი ღონისძიება** - სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების შემდეგ კომპანიის მიერ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 დადგენილებით დამტკიცებული „წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესის, წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, 1-02, 1-03 და 1-04) შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით შედგენილი, დამტკიცებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული იქნება წიაღით სარგებლობის პროექტი;

➤ **ვალდებულება** - ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა მექანიზმების გაჩერება და დგომა;

**დაგეგმილი ღონისძიება** - კომპანია, ლიცენზირებულ ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მარაგების შესწავლის, ასევე მოპოვების პერიოდში განსახორციელებელი სამუშაოების წარმოებისას ტექნიკის გადაყვანის, მასალების მიწოდების და საექსკავაციო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ფუჭი ქანების სანაყაროზე განთავსების მიზნით და წიაღისეულის ტრანსპორტირებისათვის ძირითადად ისარგებლებს ალტერნატიული გზით, რომელიც არ განეკუთვნება შიდა სასოფლო გზების კატეგორიას, ამასთან მძიმე ტექნიკის შიდა-სასოფლო გზაზე

გადაადგილებისას, გზის დაზიანების შემთხვევაში პერიოდულად მოახდენს ლიცენზიის მიმდებარედ არსებულ შიდა სასოფლო გზის მომანდაკებას/რეაბილიტაციას.

გრუნტიან გზაზე ტექნიკის ინტენსიური გადაადგილებისას მოხდება გზის მორწყვა, ხოლო ამტვერებადი მასალების, ფუჭი ქანების და სასარგებლო წიაღისეულის გადაზიდვა მოხდება მარაგადახურული ავტოთვიომცლელელებით.

ლიცენზიით განსაზღვრულ სამთო მინაკუთვნის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარედ მესაკუთრესთან შეთანხმების და სათანადოდ შედგენილი გეგმის საფუძველზე გამოყვლი/მოწყობილი იქნება სპეციალური ადგილი,, სადაც მოხდება წიაღისეულის დროებითი სასაწყობო უბნის, კარიერის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საჭირო მასალების, მოწყობილობების და ტექნიკის განთავსება.

შეზღუდული იქნება ლიცენზიის მიმდებარედ, ასევე ლიცენზირებულ ფართობში მძიმე ტექნიკის გადაადგილების სიჩქარე და ტრანსპორტის გადაადგილება მოხდება არაუმეტეს 20 კმ/სთ, ხოლო პერსონალს, რომელიც მოემსახურება მძიმე ტექნიკას ჩაუტარდება მიზნობრივი ინსტრუქტაჟი ტექნიკის გადაადგილებასთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვის საკითხებში.

➤ **ვალდებულება** - ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

**დაგეგმილი ღონისძიება** - კომპანიის დაკვეთით კომპეტენტური პირების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შედგენილია და გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენილია ლიცენზირებული ტერიტორიის „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განკარგვის და რეკულტივაციის პროექტი“, ამდენად შეთანხმებული პროექტის საფუძველზე მოხდება შესწავლის პროცესების დროს მოხსნილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ფუჭი ქანების დასაწყობება შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;

➤ **ვალდებულება** - ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის

გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

**დაგეგმილი ღონისძიება** - დრეს არსებული მდგომარეობით, ლიცენზირებულ ტერიტორიაზე ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა მდგრადობის საკმარისი ხარისხით და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ. და წ. 1.02.07.87-ის მე-10 დანართის თანახმად მიეკუთვნება II (საშუალო) კატეგორიას, გამომდინარე აქედან ტერიტორია, შესწავლა მოპოვების მიზნით სამუშაოების განსახორციელებლად დამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფება.

ამასთან, მუდმივად განხორციელდება ლიცენზირებული ტერიტორიის პროცესებზე დაკვირვება და დაფიქსირების შემთხვევაში გატარებული იქნება სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებები

➤ **ვალდებულება** - ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

**დაგეგმილი ღონისძიება** - კომპანიის დაკვეთით, უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილია, ლიცენზიის პირველი (შესწავლის) ეტაპისათვის შესწავლა-მოპოვების გეგმა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განკარგვის და რეკულტივაციის პროექტი, ხოლო მარაგების დამტკიცების შემდგომ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი და უფლებამოსილ ორგანოში შეთანხმების მიზნით, წარდგენილი იქნება წიაღით სარგებლობის პროექტი;

## 14.2 სოციალური პროექტები

სოციალურ-ეკონომიკური გარემო-რაიონში 20 ადმინისტრაციული ერთეულია: 1 ქალაქი. სოფლად დასახლებული მაცხოვრებლები მთელი მოსახლეობის 90%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რის გამოც მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ამჟამად მოსახლეობის შემოსავლების 4 ძირითადი წყაროა: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მოხელეობა და ემიგრანტების მიერ ინვესტირება.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ბუნებრივი რესურსების მოპოვება და მშენებლობა.

ზემოქმედება სოციალურ - საბადოს შესწავლის და ექსპლუატაციის პროცესში დასაქმდება დაახლოებით 30 ადამიანი, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობა იქნება (კომპანიის ხელმძღვანელობის პოზიციით პრიორიტეტი მიენიჭება სოფელ ნახშირღელეს მოსახლეობას), რაც უდაოდ დადებით ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ფაქტორებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მარაგების დამტკიცების შემდეგ, სასარგებლო წილისეულის მოპოვების პერიოდში კომპანიის მიერ, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადახდილი მოსაკრებელი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ასახული იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

### 15. სასარგებლო წილისეულის არსებული მოკლე ხარისხობრივი და ტექნოლოგიური დახასიათება

გეოლოგიურ ფონდებში მოიპოვება მცირე ინფორმაცია. მოცემული უბნებზე გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით ჩატარებულია ძიება-კვლევადაძიება, „B” კატეგორიისთვის 200\*200 მ-ზე და C<sub>1</sub> კატეგორიისთვის 400\*400, საძიებო სამუშაოების დროს მონაწილეობა თხრილები, შურფები, ჭაბურღილები და შტოლნები. თუმცა დაძიების მეთოდების ტექნიკური მახასიათებლები და არსებული მონაცემები არ იძლეოდა შესაძლებლობას მასზე სამთომოპოვებითი საწარმოს დაპროექტების და განვითარების მიზნით. გომდინარე აქედან შესწავლის პერიოდში, რომელიც კომპანიას განსაზღვრული აქვს ლიცენზიის მოქმედების პერიოდით მაქსიმალურად იქნება ლიცენზირებულ კონტურში შესაძლო მადნიანი ველების არსებობა გამოკვლეული, შესწავლილი მათი ხარისხობრივი მონაცემები და სხვა ტექნიკური პარამეტრები.

არსებული ინფორმაციის თანახმად, ობიექტის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს მესამეული ასაკის (ოლიგოცენური) ნალექები გლაუკონიტის და სპონგოლიტის ქვიშაქვები, ოპოკები, არაკარბონატული თიხები, რომლებშიც რიგ ადგილებში გამოისოლება მანგანუმის მარღვები სხვადასხვა ფორმით. აღნიშნული მასა ზემოდან გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის 0,2-0,4 მ დელუვიური ნალექებით.

ლიცენზიით განსაზღვრულ სამთო მინაკუთვნის ტერიტორიაზე მანგანუმის მადნის გამოვლინებაზე დეტალური, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები არ ჩატარებულა,

ამიტომ სასარგებლო წიაღისეულის (საღორღე ნედლეულის) ფიზიკურ-მექანიკურ და ტექნიკურ მახასიათებლები აღწერილია მხოლოდ სსიპ "წიაღის ეროვნული სააგენტო"-ს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის გეოსაინფორმაციო პაკეტში არ არის მოცემული.

## 16. მოსამზადებელი საექსკავაციო სამუშაოები

მიმდინარე და მომავალი წლის პერიოდში შესწავლის მიზნით მოსამზადებელი და საძიებო სამთო სამუშაოები დაგეგმილია ლიცენზიის პირველი, მე-2, მე-6 და მე-7 უბნებზე.

საექსკავაციო სამუშაოების პერიოდში, ასევე გეოლოგიური ბურღვის-შესწავლის პროცესში მანგანუმის მადნის გამოვლინების შემთხვევაში, რესურსი დასაწყობებული იქნება სასაწყობო უბანზე, ხოლო საჭირო რაოდენობა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გამოყენებული იქნება ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებული რესურსის შესწავლის და მარაგების დადგენის მიზნებისათვის.

## 17.სანაყარე მეურნეობა

ლიცენზირებული ფართის ტერიტორიაზე სანაყარე მეურნეობის მოსაწყობად, ფართი შერჩეული იქნება მოქმედი კარიერის მიმდებარედ ისე, რომ შესწავლის პერიოდში ექსკავირებული ფუჭი ქანების და არაგაბარტული დიდი ლოდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სანაყაროს განთავსებამ არ შეაფერხოს ძებნა-ძიების და ბურღვის სამუშაოები.

ლიცენზირებული ტერიტორიის ფართზე, მოხსნილი ნიადაგის ფენა განთავსდება განცალკევებით, კვალერებში სპეციალურად მოცემული ლიცენზირებული ფართობისათვის შედგენილი „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, დასაწყობების და რეკულტივაციის პროექტი“-ს, ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ასევე, სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად, იმგვარად, რომ არ მოხდეს არსებული ნიადაგის განადგურება (დაბინძურება ან გაუარესება).

საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, სანაყაროზე გასატანი გადასახსნელი ე.წ „ფუჭი ქანები“ მიეკუთვნება მეორე კლასს: СНИП IV-5-82 & 6a („თიხოვანი მასა“), რის გათვალისწინებითაც სანაყაროს ფერდობებს ექნება 45<sup>0</sup>-იანი დახრა.

შესწავლის პერიოდში საექსკავაციო-გადახსნითი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად ეფექტურად ისე, რომ არ მოხდეს ლიცენზიის ფართობზე არსებული

რესურსის დაფარვა ფუჭი ქანების მასით და არ გახდეს ასათვისებელი რესურსი არარაციონალური.

### 18. ექსკავირებული სამთო მასის ტრანსპორტირება

კომპანია შესწავლის პროცესში მისასვლელი გზის და გამხსნელი ტრანშეის (რომელიც შემდგომ წარმოდგენილი იქნება როგორც ბურღვის მოედანი) მოწყობის პროცესში ექსკავირებული სამთო მასის გადაზიდვას განახორციელებს მიმდებარედ არსებულ, კერძო საუბრეებში არსებულ დროებით სასაწყობო უბანზე რომელიც დაახლოებით 1 კმ მანძილზეა.

დატვირთვა მოხდება Doosan, Cat, HYUNDAI-ს ან სხვა მარკის მძიმე წონის ჩამჩიანი ექსკავატორის საშუალებით, ხოლო ტრანსპორტირება განხორციელდება მძიმეწონიანი 15 მ<sup>3</sup> მოცულობის (40 ტონა) ტვირთამწეობის თვითმცლელებით.

თვითმცლელის გამომუშავების ნორმა განისაზღვრება გამოსახულებით:

$$H = [(T_{\text{ცვ}} + T_{\text{მოსამზ}} + T_{\text{პირ}}) : T_{\text{რეისი}}] \times Q$$

სადაც  $T_{\text{ცვ}}$ -არის ცვლის ხანგრძლივობა 480 წუთი;

$T_{\text{მოსამზ}}$  -დ- მოსამზადებელ-დამამთავრებელი სამუშაოების შესრულების დრო და მიიღება 30 წუთი;

$T_{\text{პირ}}$  -დრო პირადი საჭიროებისთვის, 10 წუთი;

$T_{\text{რეისი}}$  - ერთი თვითმცლელის რეისისათვის საჭირო დრო, 30 წუთი;

Q - ერთ თვითმცლელში დატვირთული სამთო მასის მოცულობა მიღებული მარკის ავტოთვითმცლელისათვის ტოლია 12 მ<sup>3</sup>, ანუ 26 ტონა ( საშ. 2,2 ტ/ მ<sup>3</sup>. მოც. წონის გათვალისწინებით).

$$T_{\text{რეისი}} = 2P \frac{60}{V} + T_{\text{დატვ}} + T_{\text{განტვ}} + T_{\text{მოცდ}} + T_{\text{დაყ}}$$

სადაც, P-არის ტრანსპორტირების მანძილი ერთ მხარეზე 1 კმ;

V- ავტოთვითმცლელის მოძრაობის საშუალო სიჩქარე, რომელიც მიღებული მარკის თვითმცლელისთვის შეადგენს 20 კმ/სთ;

$T_{\text{დატვ}}$  - დატვირთვის სრო - 15 წთ;

$T_{\text{განტვ}}$  - განტვირთვის დრო - 5 წთ;

$T_{\text{მოცდ}}$  - მოცდენის დრო ექსკავატორთან -10 წთ

$T_{\text{დაყ}}$  - განსატვირთად დაყენების დრო -3 წთ.

მოყვანილი მნიშვნელობებიდან გამომდინარე, ავტოთვიტმცლელის რეისისთვის საჭირო დრო იქნება:

$$T_{\text{რეისი}} = 2 \times 1 \times (60 : 15) + 15 + 5 + 10 + 3 = 40 \text{ წთ}$$

თვითმცლელის რეისების რაოდენობა შეადგენს:

$$T_{\text{რეისი}} = (480 - 40 - 1) : 40 \approx 10 \text{ რეისი}$$

ერთი თვითმცლელის გამომუშავების ნორმა ცვლაში განისაზღვრება:

$$10 \times 12 = 120 \text{ მ}^3$$

ამრიგად, მოსამზადებელ პერიოდში მისასვლელი გზის და გამხსნელი ტრანშეის ანუ ბურღვის მოედნის მოწყობისათვის, არსებული რელიეფის გათვალისწინებით საპროექტო პარამეტრების მიღებისათვის საჭიროა ექსკავირებული იქნას დაახლოებით 75 000 მ<sup>3</sup> სამთო მასა. მიღებული წარმადობის პირობებში ათვისების გეგმის მიხედვით, რომლის თანახმადაც მოსამზადებელი საექსკავაციო სამუშაოები უნდა მორჩეს 90 კალენდარული დღის ვადაში განსაზღვრული საექსკავაციო მასის და სამუშაო დღეების, ასევე ცვლების მიხედვით საჭიროა მინიმუმ 2 ექსკავატორი, ერთი ბულდოზერი, 7 თვითმცლელი და 7 მძლოლი, სრული დატვირთვით.

ამასთან, კარიერზე შესწავლის პერიოდში მოსამზადებელი საექსკავაციო სამუშაოებისათვის ცვლური ექსკავაციის გაზრდის შემთხვევაში, გაიზრდება თვითმცლელის რაოდენობაც.

18.1 კარიერზე შესწავლის მიზნებისათვის საჭირო საექსკავაციო სამუშაოებისათვის ტექნიკი ჩამონათვალი და მომსახურე პერსონალის რიცხოზომიერი შემადგენლობა

მექანიზმების დასახელება	რაოდენობა
-------------------------	-----------

1. დამტვირთველი ექსკავატორი „Caterpillar“	2
2. ბულდოზერი	1
3. მძიმეწონიანი ავტოთვიტმცლელი	7

პროფესიის დასახელება	თანრიგი	რაოდენობა
1. ექსკავატორის მემანქანე	VI	2
2. ბულდოზერის მემანქანე	VI	1
3. თვითმცლელის მძღოლი	V	8 (1 რეზერვი)
4. დამხმარე მუშა	III	4
5. შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვის სპეციალისტი	სუპერ ვაიზერი	1
6. დაცვის სამსახურის თანამშრომელი	დავიც ოფიცერი	4
სულ:		20 კაცი

19. შესწავლის სამუშაოების გეგმა-გრაფიკი

09.01.2021-31.12.2022 პერიოდში განსახორციელებელი გეგმა გრაფიკი					
№	სამუშაოების დასახელება/პერიოდი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	მოსამზადებელი საექსკავაციო სამუშაოები				
2	მისასვლელი გზის რეაბილიტაცია				
3	საბურღი მოედნის დაგეგმარება და ტექნიკის მობილიზება				
4	სამიეზო სამუშაოები; საბურღლების ბურღვა, შურფების გაყვანა და სხვა				
5	ლაბორატორიული კვლევებისთვის სინჯების აღება				

6	გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტირება (იგულისხმება, პერსონალის დასაქმება, საექსკავაციო სამუშაოების სწორად წარმატება, დოკუმენტაციის პერიოდული წარმოება)				
7	მიმდინარე, სხვა დამხმარე სამუშაოები				

№	სამუშაოების დასახელება/პერიოდი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
1	მოსამზადებელი საექსკავაციო სამუშაოები							
2	მისასვლელი გზის რეაბილიტაცია							
3	საბურღი მოედნის დაგეგმარება და ტექნიკის მობილიზება							
4	სადიებო სამუშაოები;ჭაბურღლების ბურღვა, შურფების გაყვანა და სხვა							
5	ლაბორატორიული კვლევებისთვის სინჯების აღება							
6	გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტირება (იგულისხმება, პერსონალის დასაქმება, საექსკავაციო სამუშაოების სწორად წარმატება, დოკუმენტაციის პერიოდული წარმოება)							
7	მიმდინარე, სხვა დამხმარე სამუშაოები							

**01.09.2021-31.12.2022 პერიოდში ძირითად საორიენტაციო ფინანსური დანახარჯი**

№	სამუშაოების დასახელება/პერიოდი	ერთეულის რაოდენობა (ცალი/მ/მ <sup>2</sup> )	ერთეულის განზომილება (მ/მ <sup>3</sup> /კგ)	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ფასი (ლარი) დღგ ჩათვლით
1	მოსამზადებელი საექსკავაციო სამუშაოები, მათშორის შურფების მოწყობა	90 000	180 000	8	1 440 000
2	საბურღი სამუშაოები	დახრილი ჯბ	5 400	200	2 060 000
		ვერტიკალური ჯბ	4 900		
3	სინჯების ლაბორატორიული კვლევა	150	5	300	45 000
5	პერსონალის სავარაუდო სახელფასო ფონდი დამხმარე სამუშაოებზე				380 000
5	მთლიანი ძირითადი დანახარჯი ზემოაღნიშნულ პერიოდში			3 925 000 ლარი	

**20. რეკულტივაცია**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელიც ახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას, ლიცენზიის ვადის ამოწურვის პერიოდში ვალდებულია გამომუშავებული ფართი მოიყვანოს ეკოლოგიურად მდგრად მდგომარეობაში და დაუბრუნოს არსებული რელიეფ პირვანდელ მდგომარეობას, ანუ განახორციელოს კარიერული ველის ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია.

სამთო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სარეკულტივაციო სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით, საჭიროა, რომ მოპოვებითი სამუშაოები წარმოებდეს დამუშავების პროექტის შესაბამისად, დადგენილი ტექნოლოგიური ნორმებისა და წესების დაცვით, სარეკულტივაციო სამუშაოების ხელშესაწყობად დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით.

რეკულტივაციის მიზანია სამთო სამუშაოებით დარღვეული სამთო მინაკუთვნის ფართში რელიეფის აღდგენა და გარემო პირობების გაუმჯობესება. ლიცენზირებული ტერიტორია. რელიეფის თავისებურებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ საფეხურებზე კვლავაც დარჩება ტუფო-ბრექჩიების ასათვისებელი საკმაო რაოდენობის მარაგები, რომლის ათვისებაც შესაძლოა განხორციელდეს ახალი ლიცენზიის ფარგლებში.

დადგენილი ნორმების მიხედვით, როორც ზემოთ აღინიშნა, რეკულტივაცია უნდა შესრულდეს ორ ეტაპად, რაც გულისხმობს სამთო-ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის ოპერაციების ჩატარებას.

აღნიშნული ტერიტორია არ გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და ამიტომ მისი აღდგენა-რეკულტივაციის მიმართულება იქნება „გარემოსდაცვითი“, რაც გულისხმობს „გარემოსდაცვითი მიზნებისათვის დარღვეული ნიადაგის ვარგის მდგომარეობაში მოყვანას“.

მარაგების დამტკიცების შემდგომ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დასრულებისას ტექნიკური რეკულტივაციის პერიოდში, კარიერის გამომუშავებული საფეხურების ზედაპირები მოსწორდება და დაიტკეპნება, ხოლო ბიოლოგიური რეკულტივაცია ტარდება სამთო-ტექნიკური რეკულტივაციის დამთავრების შემდეგ და გულისხმობს მიწის ნაყოფიერი ფენის აღდგენას.

„წიაღის ეროვნული სააგენტო“-ს რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ გადახსნითი სამუშაოებისას შენახული და დასაწყობებული უნდა იყოს ნიადაგის ფენი და შემდგომ მისი განთავსება უნდა მოხდეს საფეხურების გამომუშავებულ ზედაპირებზე. სასურველია, რომ ამ ფენის სისქე შეადგენდეს 0.12 მ-ს; მიწის ფენი უნდა დაიტკეპნოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნიადაგის მდგრადობა.

ბიოლოგიური რეკულტივაციის შედეგნილობა და მოცულობა განისაზღვრება რეკულტივაციის მიმართულებიდან გამომდინარე, ანუ აღდგენილი ტერიტორიაზე უმჯობესი იქნება რეგიონში არსებული ბუჩქნარის და ხეების გაშენება, რითაც შენარჩუნდება ტერიტორიის მდგრადობა. წყლის დაგროვების საშიშროების ასცილებლად, რეკულტივირებულ ფართს უნდა ჰქონდეს მცირეოდენი 30-მდე ქანობი, ტექნიკურად ბიოლოგიური რეკულტივაცია და მონიტორინგი გრძელდება 2-3 წლიდან 5-6 წლამდე პერიოდში.

რეკულტივაციის მიმართულება და მოცულობები უნდა ჩამოყალიბდეს სამუშაოების დამთავრების წინ და შედგეს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია. რეკულტივაციის პროექტი უნდა შეთანხმდეს შესაბამის ორგანოებთან და მხოლოდ ნებართვის გაცემის შემდეგ შეიძლება დაიწყოს სარეკულტივაციო სამუშაოები.

## 21. დასკვნები და რეკომენდაციები

- საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას;
- ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლოატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით; ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიპსომეტრულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისკენ ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოებისა, ნორმებისა და წესების დაცვით;
- წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;
- აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით ობიექტზე მოპოვებითი სამუშაოების წარმოება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური პირობების გაუარესებას;
- კარიერის ექსპლუატაციის დროს მიწისქვეშა წყლების მოდინების საშიშროება არ არის;
- დამუშავების პროცესში სისტემატიურად უნდა მოხდეს მარაგების მდგომარეობის შემოწმება, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების და დანაკარგების აღრიცხვა, რისთვისაც აუცილებელია კარიერი უზრუნველყოფილი იყოს გეოლოგიურ-მარკშიედერული მომსახურებით და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოებით;
- კარიერზე მუშაობა უნდა შეჩერდეს ისტორიული, კულტურული და სხვა მნიშვნელობის ობიექტების ან იშვიათი ნიმუშის აღმოჩენისთანავე და ეცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

### გამოყენებული ლიტერატურა და სახელმძღვანელო კანონმდებლობა

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 მაისის №230 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „წიაღით სარგებლობის ობიექტის

დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემის და წიაღის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესი“

2. საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“

3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №424 დადგენილებით დამტკიცებული „წიაღის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი

4. რ.გობეჯიშვილი „საქართველოს რელიეფი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი. 2011წ.

5. თ.ლომინაძე, ი.წერეთელი „საქართველოს გეოლოგია“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2013წ.

6. ბ.ზაუტაშვილი, ბ.მხეიძე „საქართველოს ჰიდროგეოლოგია“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი 2011 წელი.

7. მარუაშვილი. ლ. „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია.“ თსუ. თბილისი, 1964წ.

8. საქართველოს ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი სტრუქტურული მოვლენების საფრთხეებისა და რისკების ატლასი. CENN/ITC. თბილისი 2012 წ.

9. სამშენებლო ნორმები და წესები. საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის СНиП 1.02.07-87. ოფიციალური გამოცემა მოსკოვი. 1988 წ.

10. სამშენებლო ნორმები და წესები. მიწის სამუშაოები. #1 კრებული СНиП IV-5-82. მოსკოვი. 1982 წ.

11. სახელმწიფო სტანდარტი. გრუნტები. კლასიფიკაცია. ГОСТ 25200-82. მოსკოვი. 1982 წ.

12. სამშენებლო ნორმები და წესები. „სეისმომედეგი მშენებლობა“. კნ 01.01-09. თბილისი. 2009 წ.

13. სამშენებლო ნორმები და წესები. „სამშენებლო კლიმატოლოგია.“ კნ 01.05-08. თბილისი. 2008 წ.



# საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL  
PROTECTION AND AGRICULTURE  
OF GEORGIA

N 9717/01  
15/10/2020

9717-01-2-202010151430



სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს  
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს  
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი წერილის (#22/6815 21.09.2020) პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიიდან 0.6 ჰექტარი ემთხვევა რაჭა 4-ის (GE0000042) ზურმუხტის დამტკიცებულ ტერიტორიას. ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადგ შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, ნებართვის/ლიცენზიის გაცემის შემდეგ, საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #01/3329 13.10.2020) აღნიშნული ტერიტორიის აღმოსავლეთით მიედინება მდინარე ხეური, რომლის სიგრძე შეადგენს 13 კმ-ს, დასავლეთით მდინარე ჩარნათის წყალი, სიგრძით 3 კმ.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მე-2 მუხლი 2. პ.4.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19. პ.2.) და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილების (მუხლი 4. პ.1.) თანახმად: „წყლის ობიექტებში და წყალდაცვით ზოლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 88.14.25.080

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882019317331 - 24/04/2019 14:39:35

მომზადების თარიღი  
31/07/2019 13:48:06

### საკუთრების განყოფილება

ზონა ონი	სექტორი შქმერი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 10000.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
88	14	25	080	

მისამართი: მუნიციპალიტეტი ონი , სოფელი შქმერი

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019317331 , თარიღი 24/04/2019 14:39:35  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 31/07/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სამკვიდრო მოწმობა N110463715 , დამოწმების თარიღი:10/05/2011 ,ნოტარიუსი დავით ფუტკარაძე
- სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმი N03292 , დამოწმების თარიღი:03/06/2019 , ონის მუნიციპალიტეტის მერია
- ბრძანება N1364 , დამოწმების თარიღი:10/06/2019 , ონის მუნიციპალიტეტის მერია
- ცნობა N04-4476 , დამოწმების თარიღი:02/10/2018 , ონის მუნიციპალიტეტის მერია

მესაკუთრები:

გია ნაცელიშვილი ,P/N: 01019051922  
თანამესაკუთრები

მესაკუთრე:

გია ნაცელიშვილი  
თანამესაკუთრები

აღწერა:

1/3 ნაწილი

### იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალებულება

ყბაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21110582, 03/11/2021 09:38:42

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ტექნოლოჯი 2021  
**სამართლებრივი ფორმა:** შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 405470869  
**რეგისტრაციის ნომერი,  
თარიღი:** 05/07/2021  
**მარეგისტრირებელი  
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,  
სოფელი დილომი, მარიამ უგრელიძის N6

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ელ. ფოსტა:** infotechnology.gmail.com  
დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა**

- ფინანსური დირექტორი - ნინო ჩანადირი, 01024017924
- გენერალური დირექტორი - გიორგი ნინიკაშვილი, 18001001985

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
გიორგი ჟამუტაშვილი, 31001019912		66.5%
გრიგოლ ხიჯაკაძე, 18001007619		23.5%
შალვა ჩიხლაძე, 01024072755		10%

---

### ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

---

### ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

### საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საქართველოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

აქტი

სატელეფონო გასაუბრების შესახებ

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსი გოჩა ფირცხელიანი ვადგენ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ აწლის 15 ნოემბერს ჩემს სარგებლობაში მყოფი სამსახურეობრივი მობილურის ნომრიდან დავეუკავშირდი შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის (ს/კ 405470869) დირექტორს გიორგი ნინიკაშვილს, (პ/ნ პოზილურის ნომერზე 44 და განვუმარტე, რომ შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის მიერ დარღვეულია #10002204 ლიცენზიით განსაზღვრული პირობები, კერძოდ:

1. მარაგების დამტკიცებამდე და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე კომპანია ახორციელებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას.
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ აქვს წარდგენილი ე.წ. „ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება“.
3. არ აქვს გავლილი სკოპინის პროცედურა.
4. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად არ აქვს მოწყობილი საბურღი მოედნები და არ აწარმოებს 2021 წლის პერიოდში განსახორციელებელ საძიებო-გეოლოგიურ ბურღვით სამუშაოებს.
5. ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით.

აღნიშნული ქმედება წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევას.

შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის დირექტორს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მიეცა გაფრთხილება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით უნდა გამოცხადდეს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ქ. №150), ხოლო მისი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად და ოქმის ერთი პირი გაეგზავნება კომპანიის RS გვერდზე.

აღნიშნულზე, შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის დირექტორმა განმარტა, რომ თანახმაა, მის დაუსწრებლად შედგეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ოქმის მეორე პირი გაეგზავნოს მის RS გვერდზე.

 /გოჩა ფირცხელიანი/